პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნიადაგს" და „მეცნიერება და ტეხნიკას" [illegible]
განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 12—80.

ოთხშაბათი, 19 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 188 (1343)

დღეს

— პარიზში ქართველი ფაშისტები თავს დაესხნენ საბჭ. საქართველოს მოქალაქეთა კრებას.
— 23 აგვისტოს ბრიუსელში (ბელგია) გაიხსნება [illegible] მუშათა პარტიის ინტერნაციონალის კონგრესი.
— იაპონიაში საშინელი ნიაღვარი მოვიდა.
— შაჰ სადულის საქმე შესწყვიტეს.
— ლონდონში გაიფიცნენ ცეცხლის გამჩაღებლები და მეზღვაურები.

ხულიგანობა

ამის წინედ გაზ. „ახალი საქართველო" იუწყებოდა, რომ პარიზში მყოფ მენშევიკ მუშათა ჯგუფის დეკლარაციის (რომელიც ჩვენს გაზეთშიც იყო გამოქვეყნებული) ხელის მომწერთ: თ. დემეტრაშვილს და გ. სულაქველიძეს თავს დაესხნენ მონპარნასის სადგურთან მენშევიკები და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ.

შარშან ბერლინში სტუდენტი ყანჩაველი, რომელიც დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, დასჭრა მენშევიკ-მაუზერისტმა.

დღეს მკითხველი გაეცნობა ქართველ ფაშისტების ხულიგანურ გამოსვლას პარიზში. ორმოცი შეიარაღებული, თავზე ხელაღებული ქართველი თეთრგვარდიელი თავს დაესხა საზოგადოება „ახალ საქართველოს" დამფუძნებელ კრებას, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა საქართველოს მოქალაქენი და ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეობა. დამსხმელებმა ქუჩაში გაყარეს შეკრებილნი და ქალებსაც კი სცემეს.

ამ „გმირობის" ჩამდენთა შორის ჩვენ შევხვდებით ფაშისტურ ორგანიზაციის „თეთრი გიორგის" წევრებს, ჩოლოყაშვილის ბანდის წევრებს, რომელნიც გაიქცნენ საქართველოდან აგვისტოს სამარცხვინო ავანტიურის შემდეგ; რამიშვილის განსაკუთრებულ რაზმის აგენტებს; საფრანგეთის ჯარის და პოლიციის სამსახურში მყოფ ქართველ კონტრ-რევოლიუციონერებს და სხ.

თავდასხმა მომზადებული იყო ქართველ თეთრგვარდიელთა გაზეთების აგიტაციით.

რას გვეუბნება ეს ცნობა? იგი მეტყველებს მხოლოდ ერთ რამეზე: ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის სრულ გახრწნაზე. ჟორდანია-რამიშვილებს თავის საზღვარგარეთელ „მრევლშიც", აქედან გაქცეულ მენშევიკებსა და სხვა ჯგუფებშიც ნიადაგი სრულიად გამოეცალათ. მათ დაკარგეს ყოველგვარი გავლენა ემიგრანტთა მასაში. უკანასკნელი გამოფხიზლების გზაზეა მდგარი და ზურგს უბრუნებს თავის „ლიდერებს". მათ სიტყვას, მოწოდებას უკვე არა აქვს გასავალი. სხვათაშორის ამას მოწმობს მენშევიკ მუშათა და სტუდენტთა დეკლარაციები, ცალკე ემიგრანტების წერილები, რომელნიც თავის დროზე მოთავსებული გვქონდა ჩვენ გაზეთში.

ამის შემდეგ რა დარჩენიათ ბატ. რამიშვილებს? ისინი დაშინებით, ტერორით ცდილობენ თავის „ავტორიტეტის" შენარჩუნებას და ემიგრაციის დაშლის შეჩერებას.

ემიგრანტები ჯერ კიდევ იმყოფებიან ჟორდანიების ნივთიერ დამოკიდებულებაში. ყველა იმათ, ვინც ამ „ლიდერების" წინააღმდეგ ხმას დასძრავს, ართმევენ ლუკმა პურს. როცა ეს „ზომაც" არ სჭრის, აამოქმედებენ მუშტს და კრივს. ამისათვის მათ ჰყავთ დაქირავებული აგენტები. რამიშვილების განკარგულებაში არის აგრეთვე დაბეზღების „მეთოდი". საბჭოთა მოქალაქეთ ისინი ასმენენ იქაური მთავრობის წინაშე—ბოლშევიკები არიან და კომუნისტურ პროპაგანდას ეწევიანო. გაიხსენეთ თუ გინდ ნ. მიწიშვილის გაძევება საფრანგეთიდან შარშან.

ჩვენ გვესმის ქართველ ემიგრანტულ მასსის მდგომარეობა, როცა ისინი სჩივიან, რომ საფრთხე მოგველის, თუ ჩვენი ნამდვილი ნებისყოფა გამოვააშკარავეთო, ე. ი. ჟორდანიების პოლიტიკა დავგმეთ და საბჭოთა პლატფორმაზე დავდექითო.

მაგრამ ისიც ვიცით, რომ ტერორის გზით მენშევიკები ვერ შესძლებენ ემიგრაციის რღვევის იმ პროცესის შეჩერებას, რომელიც ფართედ მოედო მას. ეს ტერორი, რომელიც არის გამოხატულება ემიგრაციის მეთაურების სრული გაკოტრების და უძლურების, პირიქით უფრო დააჩქარებს ამ რღვევას და საბოლოოდ შემოაცლის მათ ხმ თითო-ოროლა პირთ, რომელნიც კიდევ ვერ განთავისუფლებულან მათ გავლენისაგან.

ამავე დროს ცხადია, რომ მუშურ-გლეხურ მთავრობას აქვს საკმაო საშუალება დაიცვას საბჭოთა მოქალაქენი ხულიგნების თარეშისაგან.

ხოლო იმ ემიგრანტულ მასსას, რომელსაც მართლა შეგნებული აქვს თავისი ძველი გზის დამღუპველობა, თავისი ეხლანდელი მდგომარეობის სიყალბე და აუტანლობა, მართებს გადაჭრილი ნაბიჯების გადადგმა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაალწიოს თავი მენშევიკ და სხვა ჯურის მაუზერისტების კლანჭებს. ჩვენ მათ დავეხმარებით ამ საქმეში.

მიწათმოწყობის საკითხები

მიწათმოწყობის გეგმაშეწონილად და რაც შეიძლება მოკლე დროში ჩატარება—ასეთია ხელისუფლების ერთი ძირითადი ამოცანათაგანი სოფლად. ამ ამოცანის გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული სოფლის საწარმოო ძალების გაშლა, გლეხობის აყვანა კულტურულ არსებობის პირობებში, მოსპობა იმ აუარებელი უბედურობისა და დავისა, რომელსაც დღემდეც აქვს ადგილი მიწის საკითხის გარშემო.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია რომ გლეხობა კიდევ არ არის მტკიცედ დარწმუნებული, რომ რევოლიუციონური წესით მის სარგებლობაში გადასული მიწა შერჩება მას და არავინ წაედავება. გლეხი ეჭვობს, რომ მის მეზობელ გლეხებისაგან შემდეგ მიწის კომისიის მიერ მოხდენილ ადგილ-მამულის განაწილებას ურყევი ძალა ჰქონდეს. გლეხის ეჭვს ასაზრდოებს ის გარემოებაც, რომ მრავალი შემთხვევა იყო, როცა მიწა ერთ მეურნეს გადასცეს და შემდეგ ისევ ჩამოართვეს და სხვას მიაკუთვნეს. მეზობელ გლეხებსა და სოფელთან შორის აქა-იქ დღესაც გრძელდება დავა მიწის ამა თუ იმ ნაკვეთის შესახებ.

ეს გარემოება მოსახლეობას ერთგვარ ხალისს უკარგავს აგრარულ რეფორმის წყალობით მის ხელში მოხვედრილ მიწას მოეპყრას სათანადო ყურადღებით და მზრუნველობით; ის ხშირად ეწევა მტაცებლურ მეურნეობას, სცდილობს რაც შეიძლება ჩქარა ამოსწუროს მამულიდან მეტი სარგებელი, ხოლო მის რიგიან მოვლაზე, გაუმჯობესებაზე ნაკლებად ფიქრობს: ვინ იცის—ეგებ ისევ ჩამომართვან და შრომამ ამაოდ ჩაიაროსო.

ასეთი პსიქოლოგია უნდა იქნას დაძლეული. ეს კი მოხერხდება მიწათმოწყობის გზით, როცა თვითეული მეურნის და სოფლის მიწის ნორმა ნორმალურად იქნება ჩამოყალიბებული, როცა მიწისმზომელი ეწვევა სოფელს განსაზღვრავს თვითეულ მეურნის სარგებლობაში მყოფ მიწას, მას საზღვარს შემოავლებს და ამაზე სათანადო აქტს შეადგენს. მხოლოდ მაშინ დამშვიდდება სოფლის მოსახლეობა.

დაჩქარებითი წესით აგრარული რეფორმის გატარების დროს აქა-იქ როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დაშვებული იქნა შეცდომები. ზოგან გაძლიერებულმა გლეხებმა ათასგვარი ხერხებით ხელთ იგდეს ნორმაზე მეტი და საუკეთესო მიწები, ხოლო ღარიბ მიწის პატრონ თუ უმიწო გლეხების ინტერესები სავსებით არ ყოფილა დაცული; ზოგან ობლებს, ქვრივებს და ინვალიდებს არაფერი არგუნეს: თვითონ ისინი ვერ შესძლებენ მიწის დამუშავებასო, და ამნაირად დარღვეული იქნა მიწის კოდექსის აზრი.

ეს ნაკლულევანებანი აცილებულ უნდა იქნას გეგმიანი მიწათმოწყობის გატარების დროს.

ჩვენში ძალიან გავრცელებულია მრავალნაჭრობითი მიწათმფლობელობა. ხშირია შემთხვევები, როცა გლეხს აქვს 5—6 ნაჭერი მიწა, გაფანტული სხვადასხვა ალაგას. თვით სამოსახლო ამ მიწებზე არა იშვიათად რამოდენიმე ვერსითაა დაცილებული. ასეთ დაქუცმაცებულ მეურნეობის მოვლა და დამუშავება გლეხისაგან აუარებელ ჯაფას და დროს ითხოვს. ზედმეტია ლაპარაკი ასეთ მეურნეობაში მნიშვნელოვან ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანაზე და მსხვილ მანქანების გამოყენებაზე.

მიწათმოწყობის გზით უნდა მოხდეს მიწის ნაჭრების გადანაცვლება და მთლიანი მეურნეობის შექმნა.

საქართველოში წვრილ-წვრილი სოფლები ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ სოფლების რიცხვი, რომლების მეკვამურთა რაოდენობა ოცზე ნაკლებია, უდრის 580-ს. ისინი ერთი მეორისაგან ხშირად დაშორებული არიან 5, 10, 15 და მეტი ვერსის მანძილით, ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა ძნელია ამგვარ წვრილ და დაფანტულ სოფლებში მართვა-გამგეობის, სასკოლო, საექიმო დახმარების და სხვა საკითხების მოგვარება. აუცილებელია მცირე სოფლების თავმოყრა, რათა შესაძლებელი გახდეს მათი კეთილმოწყობა.

ჩვენს რესპუბლიკაში ზოგან დარჩენილია ძველი სათემო მიწათსარგებლობა. გლეხობა გამოსთქვამს გარკვეულ სურვილს გადავიდეს კომლეულ მიწათსარგებლობაზე. ეს სურვილი უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

მიწათმოწყობა ჩვენში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამასთან ხაზგასასმელია, რომ ამ მხრივ დღემდე არ გვქონია რესპუბლიკის მასშტაბით გამომუშავებული დასაბუთებული მთლიანი გეგმა. მუშაობას წარმოებდა ადგილობრივად საკითხის საფუძვლიანად შესწავლის და სათანადო წინასწარი მომზადების გარეშე.

დღეს მთლიანი გეგმა შედგენილია სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ. გათვალისწინებულია თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, სად და როგორ. შედგენილია გეგმის განსახორციელებლად ხარჯთ-აღრიცხვაც. უდიდესი ნაწილი ამ საქმისათვის საჭირო თანხისა უნდა იქნას გაღებული საბიუჯეტო წესით რესპუბლიკანური და სათემო ბიუჯეტებიდან. ხარჯების ნაწილს გაიღებს მოსახლეობაც სამიჯნაო გეგმების საფასურის სახით.

ცალკე დგას მიწათმოწყობის ჩატარებისათვის აუცილებელი მიწისმზომელთა და მკოდნე პირთა საკითხი. ასეთების ნაკლებობა მეტად საგრძნობია ჩვენში. მათი მოსამზადებლად ეხლავე უნდა იქნას ზომები მიღებული. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიწისმზომელები უბრალო მოხელეები კი არ უნდა იყვნენ, არამედ პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწენიც, რომელთაც შეთვისებული ექნებათ საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა და რომელთაც უნარი უნდა შესწევდეთ მიუდგენ გლეხობას ისე, როგორც ამას საქმე მოითხოვს. ამიტომ მათ შერჩევას და პოლიტიკურ მომზადებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

არ არის უფრო რთული საკითხი, ვინემ მიწათ-მოწყობა. მისი რიგიანად მოგვარება ჰგულისხმობს დიდ საორგანიზაციო და გამომკვლევ მუშაობას, რო არ ვილაპარაკოთ საშუალებებზე. აქ საჭიროა უაღრესი სიფრთხილის გამოჩენა, რათა ჩვენში არსებულ დახლართულ მიწათსარგებლობას თავი გავართვათ, რათა უმტკივნეულოდ გადავჭრათ ეს საკითხი. საერთოდ ყველაფერი ეს საკმაოდაა გათვალისწინებული იმ გეგმაში, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

მაგრამ ერთია ქაღალდზე დაწერილი გეგმა, ხოლო მეორეა მისი ცხოვრებაში გატარება, ადგილობრივი კონკრეტიული პირობების ალნუსხვის ნიადაგზე. ცენტრის და ადგილების შეთანხმებული მუშაობით უნდა დავსძლიოთ ამ სფეროში არსებული და შესაძლებელი დაბრკოლებანი.

X

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

პოლონეთ-საბჭ. საზღვარზე პოლონელმა ჯარისკაცმა დასჭრა საბჭოთა სანაპირო რაზმის ჯარისკაცი

ინგლისის მუშათა პარტია მოითხოვს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოწესრიგებას

მონღოლეთში ხმარებაში დაუშვეს ჩერვონეცი

რა უფრო სასარგებლო იქნება ინგლისისათვის

კლაინსის წერილი

ლონდონი, 17 აგვისტო. „ტაიმს"მა გამოაქვეყნა მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — მაკდონალდის მთავრობის ყოფილი წევრის კლაინსის წერილი. წერილში სხვათა შორის ნათქვამია, რომ, როდესაც საბჭოთა კავშირმა იკისრა ვალდებულება არ აამხედროს აზიის ხალხები ინგლისის წინააღმდეგ, არც ერთ მხარეს არ უკისრია ხელი აეღოს დამოუკიდებელ პოლიტიკაზე, რომელიც მიზნათ ისახავს თავისი სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დაცვისაკენ. ასეთი პოლიტიკა თვითეულ მხარეს ზოგჯერ შეუძლია ჩასთვალოს პროპაგანდათ. კლაინსი მოითხოვს ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის მოწვევას ყველა სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად.

ლონდონი, 18 აგვისტო. საბჭოთა საფეიქრო წარმოების წარმომადგენელთა ინგლისში ჩამოსვლის გამო ინგლისის მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ბელადთაგანმა „მანჩესტერ გარდიენში" დაბეჭდა წერილი. ამ წერილით ავტორი მოუწოდებს ლანკაშირის საფეიქრო წარმოების მუშა-მოსამსახურეთ მოითხოვონ, რომ მთავრობამ უზრუნველჰყოს კრედიტი საბჭოთა საფეიქრო წარმოების მიერ სხვადასხვა საქონლის შესასყიდათ. ამასთანავე საბჭოთა კავშირში უნდა გავრცელდეს ინგლისში არსებული სავაჭრო-საშეღავათო კანონი, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი დაჰკარგავს რუსეთის ბაზარს, რომელიც ომის წინეთ მუდამ იმის ხელში იმყოფებოდა და მას დაეუფლება გერმანია.

საბჭოთა პავილიონი კენიგსბერგის ბაზრობაზე

კენიგსბერგი, 17 აგვისტო. გერმანიის ჟურნალისტებმა დაათვალიერეს საბჭოთა პავილიონი გერმანია-აღმოსავლეთის ბაზრობაზე კენიგსბერგში.

საბჭოთა კავშირის კონსულმა კენიგსბერგში გადასცა ჟურნალისტებს ცნობები საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინების შესახებ და გამოსთქვა იმედი, რომ ბაზრობა ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას.

წარსულ ბაზრობასთან შედარებით, საბჭოთა პავილიონი გაცილებით უფრო მდიდარია, წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა საექსპორტო საგნები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შინა-მრეწველობის საგნების კიოსკი. შინამრეწველობის საგნების დიდი ნაწილი წარმოადგენს საუცხოვო მხატვრულ ნაწარმოებს.

ინცინდენტი პოლონეთ-საბჭოთა საზღვარზე

მოსკოვი. 18 აგვ. 6 აგვისტოს მინსკთან სანაპირო ხაზზე პოლონელმა ჯარისკაცმა სასიკვდილოდ დასჭრა საბჭოთა რაზმელი კოსტრიჩევი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა პოლონეთის მისიას გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც მოითხოვს, რათა ამ ახალი ინცინდენტის გამოძიება მიენდოს შერეულ პარიტეტულ კომისიას.

ფინეთის ყოფ. პრემიერი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ

ჰელსინგფორსი, 17 აგვისტო. კოალიციონური პარტიის ლიდერმა, ყოფილმა პრემიერმა ლაური ინგმანმა ფაშისტების სამხედრო ორგანიზაციის დღესასწაულზე წარმოსთქვა სიტყვა ფინეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ინგმანმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან ფინეთს ამჟამათ არავითარი საშიშროება არ მოელის, რადგან საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია თავისი ურთიერთობის მოგვარებით დასავლეთის ქვეყნებთან. მაგრამ, მისი სიტყვით, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ წრეებში არსებობს ტენდენცია „გავრცელებული იქნეს საბჭოთა ხელისუფლება ფინეთის ტერიტორიაზე".

ორატორი აფრთხილებს ფინეთს იმ საშიშროებისაგან, რომელიც მას მოელის დასავლეთის სახელმწიფოებისაგან. ინგმანის აზრით, ბალტიის თავდაცვითი კავშირის შექმნა ეხლა არ არის დროული, რადგან ასეთი კავშირი მხოლოდ ზიანს მოუტანს ფინეთს. ორატორმა აღნიშნა, რომ ერთა ლიგასაც, თავისი სისუსტის გამო, არ შეუძლია ფინეთის უშიშროების უზრუნველყოფა.

ჩერვონეცი მონღოლეთში

ულან-ბატორი. 17 აგვ. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ნებადართო, რათა ჩერვონეცი იქნეს შემოღებული ხმარებაში:, რაც გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. რადგან მოქმედი კანონის მიხედვით უცხოეთის ვალიუტაზე და ამერიკელ დოლარებზედაც კი დაწესებულია საბაჟო გადასახადი 20 პროც.-ის რაოდენობით.

ვიზრდებით, ვღონიერდებით

ახლო წარსულში საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მეტად საყურადღებო მოხსენება საბჭოთა კავშირის მეურნეობის აწინდელ ვითარების შესახებ და მის მომავალზე.

წრევანდელმა მდიდარმა მოსავალმა და სოფლის მეურნეობის არაჩვეულებრივ ზრდამ, აღორძინების გზაზე მდგომ საბჭოთა ეკონომიკას კიდევ უფრო ფართე ასპარეზი გაუშალა და ჩქარი ნაბიჯით მიაქროლებს მას წინ.

წინასწარი ვარაუდით მომავალ 1925-26 სამეურნეო წლისათვის შემდეგ სურათს უნდა მოველოდეთ: სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავალი მიაღწევს ომამდი არსებულის 89 პროცენტს, მრეწველობა ამ დროისათვის 94 პროც. გაიზრდება.

და ამ საერთო მეურნეობრივ ზრდასთან ამავე ანგარიშის თანახმად, ბუნებრივათ უნდა მოველოდეთ საბჭოთა მანეთის კურსის მომატებას და საქონელზე ფასების დაკლებას. ასე მაგალითად, სოფლის ნაწარმოებზე ფასებმა საშუალოთ მანეთზე 8 კაპიკით უნდა დაიკლოს და მრეწველობის პროდუქციაზე კი 9 კაპიკით.

როგორც ყოველთვის, მეურნეობის განვითარება ამ შემთხვევაშიაც გამოიწვევს მუშა-ხელის ზრდასაც. ამ მხრივ წარმოებაში დაბანდებულ მომუშავეთა რაოდენობა გაიზრდება 21 პროცენტით დღევანდელთან შედარებით.

გარდა ამისა ქვეყნის ეკონომიურ გაჯანსაღება და წარმატება ჩვენს პირობებში ყოველთვის უნდა გვესმოდეს, როგორც მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარი პირობა. აქაც, მომავალ სამეურნეო წელში საშუალო თვიური ხელფასი 41 მანეთიდან უნდა გაიზარდოს 48 მანეთამდი.

ამასთან ერთად საბჭოთა მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია შრომის ინტენსიფიკაციის, მრეწველობის ნაყოფიერების ზრდის გარეშე. ამ შემთხვევაშიაც შრომის ნაყოფიერების ზრდამაც უნდა მიაღწიოს, ამავე ვარაუდის თანახმად, 90 პროცენტამდი.

ამრიგად ყველა მთავარ ფრონტებზე, ყოველ მნიშვნელოვან დარგში სოციალისტურ აღმშენებლობის საქმე სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ. შორს აღარ არის ის დრო, როცა საბჭოთა მეურნეობა უკან მოიტოვებს ომამდი არსებულ, კაპიტალისტურ რუსეთის მეურნეობას და ფრთებგაშლილი გაემართება წინ ახალ პოზიციების დასაპყრობათ, ახალ სიმაგრეების დასაჭერათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ მოსახლეობის სყიდვითი უნარის ზრდასა და ბაზრის [illegible] გაფართოებასთან ერთად, რომელიც მრეწველობის განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენს, ჩვენი მეურნეობის წინაშე სდგას მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის მოუგვარებლად ნაადრევი იქნებოდა საბჭოთა ეკონომიკის წარმატებით განვითარებაზე ზრუნვა. ესაა ძირითად კაპიტალის აღდგენის და გადახალისების კითხვა როგორც ქალაქის, აგრეთვე სოფლის წარმოებაში.

ამ მხრივ ჩვენი მეურნეობა უკვე იმდენათ მომჯობინდა, რომ მას შესაძლებლობა აქვს თავის ჯიბიდან საკუთარ ორგანიზმის გაჯანსაღების და მოღონიერების საქმეს ერთ მილიარდ მანეთამდი მოახმაროს. წინასწარი გამოანგარიშებით ასეთია ის თანხა, რომელიც უნდა დაიხარჯოს ძირითად კაპიტალის აღდგენის და რეკონსტრუქციის საქმეზე სოფლად და ქალაქად.

ცხადია ამნაირად, რომ მომავალი სამეურნეო წელი იქნება ოთხი წლის წინათ დაწყებულ ჩვენი ნივთიერ აღორძინების პროცესის დასასრული ამ წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე აღარ უნდა დაურჩეს ადგილი იმ საჭირბოროტო ამოცანაზე თავის მტვრევას, რომელსაც იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის შედეგებთან ბრძოლა ერქვა.

მაგრამ, თქმა არ უნდა, ეს იმას სრულიადაც არ გულისხმობს, რომ ამით სამეურნეო ფრონტზე ბრძოლა რამდენადმე მაინც უნდა შესუსტდეს. რაც არ უნდა გავიზარდოთ ჩვენ ეკონომიურათ და პოლიტიკურათ, მაინც ვერ დავივიწყებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი პლანეტის ხუთი მეექვსედი კაპიტალისტურ სახელმწიფოების მფლობელობის ქვეშ იმყოფება, რომელიც ჩვენზე ბევრათ მდიდარია ნივთიერათ და რომელსაც ჯერ კიდევ საკმაოთ მაგრათა აქვს გადგმული ფესვები პოლიტიკურადაც.

მხოლოთ საბჭოთა ეკონომიკის სწრაფი ზრდა, მისი ნივთიერ და სულიერ კულტურის აყვავება-განვითარება იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მიერ შექმნილ, ჯერ არ გაგონილმა, ახალმა მეურნეობრივ სისტემამ სრული გამართლება ჰპოვა ჩვენს სინამდვილეში. მან საყოველთაოდ ცხადჰყო თავისი ცხოველმყოფელობა და განვითარების შესაძლებლობა.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე [illegible] და დღვით დაძლეული დაბრკოლებანი [illegible], გარდა იმისა, რომ თავისთავად [illegible] ბურჟუაზიულ ქვეყნებისათვის [illegible] საშიშროებას, საუკეთესო გაკვეთილს წარმოადგენენ საერთაშორისო პროლეტარიატისათვის იმ თავდადებულ ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ კერძო საკუთრების ინსტიტუტზე დაყრდნობილ ექსპლოატატორულ საზოგადოებასთან

ინგლისელი რკინისგზელები ბრძოლისათვის ემზადებიან

ლონდონი. 17 აგვისტო. რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ, დობმა, წარმოსთქვა სიტყვა, რომ წრეულს ჩვენ შევიქნებით დიდი ბრძოლის მოწმე, როგორიც ჯერ არ მომხდარა რკინის გზებზე. ეს ბრძოლა იქნება უაღრესად სასტიკი, ულმობელი და თავგანწირული, როგორიც არას დროს არ უწარმოებიათ რკინისგზელებს, ვინაიდან რკინის გზების მეპატრონეები არასოდეს არ ცდილან მუშათა საცხოვრებელი მინიმუმის დაკლებას ისე, როგორც ეხლა".

კონფლიქტი ინგლისის ნახშირის მრეწველობაში

ტომასის განცხადება

ლონდონი, 17 აგვ. ნახშირის მრეწველობაში წარმოშობილ კრიზისის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში ტომასმა განაცხადა, რომ უკანასკნელ საშუალებად კრიზისის მოსაგვარებლად ის სთვლის ნაციონალიზაციას, მაგრამ მიუღებლად მიაჩნია, რათა იგი განხორციელებულ იქნას მუშათა ზეგავლენით. ტომასმა დაასმინა, რომ უკანასკნელი კონფლიქტი ნახშირის მრეწველობაში ძალიან აწუხებს მას, რამდენადაც იგი გადაწყვეტილი იყო ძალით და არა შეგნებით.

რა სთქვა კუკმა

კუკმა, ამავე საკითხზე ილაპარაკა სამხრეთ უელსში და განაცხადა: „ეხლა ყველამ გაიგო, რომ მუშები ძალას წარმოადგენენ. ამ ძალამ აიძულა მთავრობა ერთ ღამეში შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. რევოლიუცია დაიწყება და მინდა, რომ ამ მომენტისათვის პროლეტარიატის არმიას ჰქონდეს დისციპლინა და ესმოდეს თავისი ამოცანები".

ბოლოს კუკმა მხარი დაუჭირა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს უფლებების გაფართოვებას და საორგანიზაციო მუშაობის გაძლიერებას.

რეაქცია გერმანიაში

იერიშები კომუნისტების წინააღმდეგ

ბერლინი, 17 აგვისტო. ბერლინში მომხდარი სისხლისღვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 15 აგვისტოს, საბაბს აძლევს ბურჟუაზიული პრესას დაიწყოს გააფთრებული კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ. ქალაქში ვრცელდება ხმები, ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის წევრები ვითომდა თავს დაესხნენ პოლიციას. ამ ხმებს აბათილებენ მრავალრიცხოვანი წერილები, რომელებიც „როტე ფანეს" რედაქციამ მიიღო ამ ამბების მოწმეთაგან და მათ შორის სოციალ-დემოკრატებისაგანაც. მოწმეები ამტკიცებენ, რომ პოლიციამ გაუფრთხილებლათ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს.

სოციალ-დემოკრატების ორგანო „ფორვერტსი" არაფერს არ ამბობს მომხდარ ამბების შესახებ.

ნაციონალისტების ორგანო „დერ ტაგი" თავგამოდებით იცავს ბერლინის პოლიცეიპრეზიდენტს, სოციალ-დემოკრატ გრჟეზინსკის სოციალისტური პრესის თავდასხმისაგან.

ბევრ წარმოებებში მუშებმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაციები მუშებზე პოლიციის თავდასხმის გამო.

პრუსიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა და წინადადება მისცა მთავრობას გადააყენოს გრჟეზინსკი, აუკრძალოს პოლიციას იარაღის ტარება სამსახურის შემდეგ და დაითხოვოს პოლიციის ყველა მოხელეები, რომელნიც დამნაშავენი არიან 15 აგვისტოს მომხდარ ამბისათვის.

პოლონელ მემამულეების ტერორის წინააღმდეგ

გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის დასაცავად

მოსკოვი, 18 აგვ. საფრანგეთის საზოგადო, პოლიტიკურმა და ლიტერატურულმა მოღვაწემ გამოუშვა დეკლარაცია გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის დასაცავათ, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელით.

„პოლონეთის მთავრობამ,—ნათქვამია დეკლარაციაში,—შექმნა პროვოკაციის სისტემა. პოლონეთის მინისტრთა საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა ტუგუტმაც კი თავის გადადგომის წინ პრემიერ მინისტრ გრაბსკისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ მისი წასვლის მთავარი მიზეზია პოლონეთის შინაურ პოლიტიკაში გამეფებული პროვოკაციის სისტემა, რომელიც წარმოადგენს პოლიციური რეჟიმის განუყრელ ნაწილს. პოლონელი მუშები გიბნერი, კნიევსკი და რუტკოვსკი აწარმოებდნენ ბრძოლას პროვოკაციის სისტემის წინააღმდეგ. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ პროვოკაციის წინააღმდეგ, ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მშვიდობიან დროს წამების და საგანგებო სასამართლოს შემოღების წინააღმდეგ. ეს ყველაფერი მიმართულია მუშების წინააღმდეგ, რომელნიც დამნაშავე არიან მხოლოდ იმაში, რომ იცავენ თავიანთ სიცოცხლეს".

დეკლარაციას ხელს აწერენ სხვათა შორის: ანრი ბარბიუსი, მადლენ მარქსი, ჟან პრევო.

ყვითლების ბანაკში

ბურჟუაზიის ლაქიები

პარიზი, 17 აგვისტო. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ყრილობის მესამე სხდომა იხილავდა მეორე ინტერნაციონალის ყრილობის პროგრამას. 2 ინტერნაციონალის ყრილობა მოწვეული იქნება მარსელში.

ლეონ ბლიუმმა გააკეთა მოხსენება, და აღნიშნა, რომ მშვიდობიანობა ამ ჟამად უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე 1923 წელს. „მიუხედავათ ბოლშევიზმის აგრესიულ პოლიტიკისა". საფრანგეთის პროლეტარიატიო, განაცხადა ორატორმა, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს ერთა ლიგას, რომელმაც უნდა მართოს არა მარტო ზოგიერთ სახელმწიფოების მიერ მონოპოლიზაცია ქმნილი კოლონიები, არამედ კიდეც უნდა გაანაწილოს ბუნებრივი სიმდიდრეები".

ლონგემ აღნიშნა, რომ თუ ერთა ლიგა იდგომება სოციალისტურ ინტერნაციონალის კონტროლის ქვეშ, იგი სასარგებლო იქნება კაცობრიობისათვის.

ზირნოვსკი მოითხოვდა, რათა ერთა ლიგამ იკისროს საერთაშორისო ეკონომიკის ორგანიზაცია.

ფრანგ სოციალისტების კონგრესი

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 18 აგვ. „პრავდა" მოწინავე წერილში ასეთი სათაურით სწერს:

„ჩქარა გაიხსნება 2-ინტერნაციონალის კონგრესი. შეიკრიბებიან ყვითელი სოციალიზმის „რჩეული" მოღვაწეები, რათა მსოფლიოს მაშტაბით განიხილონ მუშათა მასების უფრო მოსახერხებლად მოტყუების, გაბატონებულ კლასებისადმი უფრო დახელოვნებული სამსახურის, პროლეტარიატში ბურჟუაზიის გავლენის უფრო ენერგიულად გატარების ტაქტიკა.

უკვე დაიწყო მზადება საერთაშორისო კონგრესისთვის სხვადასხვა ეროვნულ პარტიებში. შემჩნეულია „აზროვნების ერთგვარი გამოცოცხლება."

„პრავდას" მაგალითად მოჰყავს საფრანგეთში ამ ჟამად გამართული სოციალისტური პარტიის ყრილობა.

„მუშების ხმა—სწერს „პრავდა"— ყრილობაზე არ ისმის. ავანსცენაზე გამოსული არიან გამოცდილი ბურჟუაზიულ რეჟიმის მიერ საუცხოვოდ გაწვრთნილი ლიდერები მინისტრთა დერეფნების მუდმივი სტუმრები, რომელთაც იციან თავიანთი ფასი და გაცნობილი არიან საგარეო პოლიტიკის მთელ საიდუმლოებას.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ „მემარცხენე" სიტყვებს, რაც საფრანგეთის სოციალისტებს სჩვევიათ, პრანჭიაობას და დეკლამაციას, ორატორების უმრავლესობის სიტყვები ეხებოდა სამ საკითხს: არსებულ მთავრობისათვის მხარის დაჭერა, სოციალისტების „შეჯრის" საჭიროება... (დამახინჯებულია)... ორგანიზაციებში და ბრძოლა კოლონიების და ბოლშევიზმის წინააღმდეგ. რათა მასების თვალში გაემართლებიათ ასეთი ბურჟუაზიული პლატფორმა ბლიუმ-ფორების ტიპის სოციალისტებმა დაადგინეს გამორიცხული იქნას პარტიიდან ვარენნი.

ვარენნი, ეს არამზადაა, რომელმაც მიაღწია გუბერნატორის სავარძლამდე ინდო-ჩინეთში და რომელიც თავის კოლონიალურ პროგრამად სთვლის ბოლშევიზმის დაძლევას და განმანთავისუფლებელ მოძრაობის ჩაქრობას.

ყრილობამ დაადგინა გამორიცხული იქნას პარტიიდან ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, სოციალისტი. თვითონ ნიღაბ აფარებულმა ვარენნებმა, რომელნიც მხარს უჭერენ ვარენნის პოლიტიკას მაროკოში, საფრანგეთის სოციალისტებმა გადასწყვიტეს მიმართონ მანევრს და დაიცვან „უმანკოება".

საფრანგეთის სოციალისტური პარტია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გზით მიდის. უკანასკნელმა ხმარებიდანაც კი განდევნა სიტყვა „რევოლიუცია". მაგრამ, წამოეწია რა გერმანიის სოც. დემოკრატიას, საფრანგეთის სოციალისტური პარტია ამავე დროს განიცდის „ევოლიუციას"—იგი იქცევა ბურჟუაზიულ პარტიად.

საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

გერმანიამ მიიღო საფრანგეთის პასუხი

ბერლინი. 17 აგვ. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ხმა დადის რომ საფრანგეთის პასუხი გერმანიის ნოტაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ მიღებულია 12 აგვისტოს და იგი განხილული იქნება რეიხსტაგის საგარეო პოლიტიკის კომისიაში.

ჩინეთის ამბები

„დეილი ტელეგრაფი" ჩინეთის ამბების შესახებ

ლონდონი, 17 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი" ჩინეთის ამბების შესახებ მოთავსებულ წერილში აცხადებს, რომ ინგლისის საქონლის და ინგლისელების ბოიკოტი დღითი-დღე სერიოზულ ხასიათს იღებს და უდიდეს ზარალს აყენებს ინგლისის ვაჭრობას. გაზეთი საჭიროთ სთვლის თავიდან იქნას აცილებული ინგლისელებისადმი ჩინელების უნდობლობის მიზეზი და წინადადებას იძლევა სასწრაფოთ იქნას შედგენილი საერთაშორისო საგამომძიებლო კომისია შანხაიში 30 მაისს მომხდარ ამბების (ჩინელების დემონსტრაციის დახვრეტა, რამაც საძირკველი ჩაუყარა დღევანდელ მოძრაობა) გამოსარკვევად. დაინიშნოს კომიტეტი შანხაის კონცესიებით დაინტერესებულ სახელმწიფოების წარმომადგენელთა შემადგენლობით, შანხაის ქალაქის მმართველობის დებულების გადასინჯვის მიზნით და თვითმართველობის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნან ჩინელთა წარმომადგენლები.

ბოლოს გაზეთი აცხადებს, რომ ინგლისის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ ანგარიშს უნდა უწევდეს იმ გარემოებას, რომ სავაჭრო ურთიერთობის განახლებას ქვეყანასთან, რომელიც შეუძლია გახდეს უდიდეს ბაზრათ ინგლისისათვის აქვს უაღრესი მნიშვნელობა

ინგლისის კომპარტიის განცხადება

ლონდონი, 17 აგვისტო. ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება ჩინეთში მომხდარ ამბების გამო. განცხადება მოუწოდებს ინგლისის მუშათა კლასს მოითხოვს მთავრობისაგან მთელი რიგი ზომების მიღება და სხვათა შორის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ექსტერიტორიალურ უფლებათა საკითხის განსახილველად საბჭოთა კავშირის მონაწილეობით. ამ კონფერენციაზე უნდა იქნას განხილული საკითხი, როგორი წესით უნდა გაუქმდეს უთანასწორო ხელშეკრულებანი. ინგლისის ჯარებმა, საზღვაო და საჰაერო ფლოტმა უნდა დასტოვონ ჩინეთის ტერიტორია.

ნიაღვარი იაპონიაში

იაპონიის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი წვიმებია. წყალმა დაფარა რამდენიმე ათასი სახლი, განადგურებულია მრავალი ხიდები, წალეკილია რკინისგზის ხაზები. ტოკიოში წყალმა დაფარა 10000 სახლი. ზარალი მეტად დიდია.

აღმოსავლეთი

სირიაში

ფრონტზე

პარიზი, 17 აგვისტო. „ჰავასის" სააგენტო იუწყება, რომ დრუზებმა დააბრუნეს ტყვეთ წაყვანილი 40 ფრანგი ჯარისკაცი.

მაროკოში

ცეცხლითა და მახვილით

პარიზი, 17 აგვისტო. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმებული სამხედრო გამოსვლა მაროკოში წარმატებით დამთავრდა და ხაზს უსვამენ, რომ მრავალი ტომები უარს ამბობენ აბდ-ელ-კერიმისთვის მხარის დაჭერაზე და სტოვებენ მის რიგებს.

გამარჯვება მიღწეულია საფრანგეთის ჯარების მიერ მიღებული რეპრესიულ ღონისძიებებით. უკანასკნელები ანადგურებენ აჯანყებულ სოფლებს, სწვავენ ნათესებს და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის 200 წლის თავი

დღესასწაულის ჩატარების გეგმა

(ჩვენი ლენინგრადელი კორესპონდენტისაგან)

დამტკიცებულია საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის თავის აღსანიშნავად დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

ლენინგრადში

5 სექტემბერს

სტუმრების შეხვედრა. საღამოს 8 საათზე, აკადემიის საკრებულო დარბაზში, ჩამოსულთა კრება აკადემიის მუშაობასთან გასაცნობათ.

6 სექტემბერს.

დღის პირველ საათზე საკავშირო სამეცნიერო აკადემიის საზეიმო საიუბილეო სხდომა ფილარმონიის დიდ დარბაზში: ა) სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის მიერ სხდომის გახსნა და ზეიმის მონაწილეთა მისალმებები, ბ) მთავრობის წარმომადგენლის სიტყვა, გ) აკადემიის მდივანის სიტყვა აკადემიის მოღვაწეობისა და თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვით, დ) სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან და ქვეყნებიდან მიღებულ მისალმებათა წაკითხვა

საღამოს რვა საათზე სადილი 300 კაცისათვის „ევროპიულ სასტუმროში“.

7 სექტემბერს

დილის 10 საათიდან საერთო კრება აკადემიის დიდ დარბაზში. აკადემიურ სამეცნიერო დაწესებულებათა გაცნობა ზეიმში მონაწილეთა მიერ ჯგუფ-ჯგუფად სპეციალობის მიხედვით. აკადემიის წარმომადგენლის სიტყვა სამეცნიერო დაწესებულებათა მდგომარეობის და მოღვაწეობის შესახებ. გახსნა ახალ ბინებში მოწყობილ მუზეუმების და ინსტიტუტების—გეოლოგიური, მინერალოგიური და ეტნოგრაფიული მუზეუმის, მთავარი ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკის, აზიური და ზოოლოგიური მუზეუმის, ფიზიკო-მათემატიკური და ქიმიური ინსტიტუტის პუშკინის სახლისა ტოლსტოის სახელობის მუზეუმით და სხ.

გახსნასა და დათვალიერებასთან ერთად სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა მიერ წაკითხულ იქნება მოხსენებები დაწესებულებების მუშაობისა და უკანასკნელი 8 წლის მიღწევების შესახებ.

საღამოს 8 საათზე წარმოდგენა დიდ აკადემიურ თეატრში.

8 სექტემბერს

დილის 10 საათიდან ექსკურსია ქალაქს გარეთ, რომლის დროს დათვალიერებული იქნება: 1) პულკოვოს ობსერვატორია და პულკოვოს ცენტრალური სეისმიური სადგური. გამგზავრება ბავშთა სოფელში და პავლოვსკში (პავლოვსკის მაგნიტური ობსერვატორიის დასათვალიერებლათ) 2) პეტერგოფის სასახლეების და ბაღების დათვალიერება, 3) ვოლხოვის ჰიდრო-ელსადგურის დათვალიერება.

ლენინგრადში დარჩენილები ათვალიერებენ: ერმიტაჟს, რუსეთის მუზეუმს, სახელმწიფო ბიბლიოთეკას, მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიას, ზომა-წონის პალატას, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს და აკადემიკოს იოფეს სახელობის ინსტიტუტს.

9 სექტემბერს.

დილის 10 საათიდან 2 საათამდი: ცალკე ჯგუფების მიერ ლენინგრადის დათვალიერება.

ნაშუადღევის 2 ს. მოხდება საგუბერნიო აღმასკომის წარმომადგენელთა მიერ სმოლნში ზეიმზე ჩამოსულთა მიღება.

მსურველთათვის—ვოლხოვის ჰიდრო-ელსადგურის და ზოგიერთი დიდ, ახლად აღდგენილ ქარხნების დათვალიერება.

საღამოს 7 საათზე პოპულარული ლექციები ლენინგრადის მუშათა უბნებში აკადემიის მოღვაწეობის შესახებ 200 წლის განმავლობაში. ლექციებს წაიკითხავენ აკადემიის წარმომადგენლები.

საღამოს 8 საათზე—წარმოდგენა აკადემიურ თეატრში („პეტრუშკა“—იგორ სტრავინსკისა და მესამე აქტი ოპერიდან „თავადი იგორი“, დივერტისმენტი და უკანასკნელი აქტი „მძინარე მზეთუნახავი“-დან).

10 სექტემბერს.

დილის ათი საათიდან ორამდე—ცალკე ჯგუფების მიერ ლენინგრადის საინტერესო კუთხეების დათვალიერება.

ნაშუადღევს ორ საათზე—ბანკეტი ლენინგრადის „სრულით ევროპიულ სასტუმროში“, აკადემიის და საგუბერნიო აღმასკომის წარმომადგენელთა გამოსათხოვარი სიტყვები და ზეიმის მონაწილეთა მოკლე საპასუხო სიტყვები.

საღამოს გამგზავრება მოსკოვში.

მოსკოვში

11 სექტემბერს.

საღამოს ხუთ საათზე—საზეიმო სხდომა ფიზიკური ინსტიტუტის შენობაში. იქვე ჩაი და ვახშამი.

საღამოთი (თუ კარგი ამინდი დარჩა) გამგზავრება რესტორან—სასადილოში „Крыша“ (მოსკოვის საბჭოს მეოთხე სახლში),

12 სექტემბერს.

ნაშუადღევის 1-ლ საათზე—საზეიმო სხდომა კონსერვატორიის დიდ დარბაზში (მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის ლ. ბ. კამენევის საზეიმო სიტყვა და აკადემიკოს ი. ბ. ლაზარევის მოხსენება).

საღამოს—წარმოდგენა მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში.

13 სექტემბერს.

დილით—კრემლის დათვალიერება და საუზმე დიდ სასახლეში.

ნაშუადღევს ორ საათზე—პატარა კრება მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში (განათლების კომისარის ამხ. ლუნაჩარსკის მისასალმებელი სიტყვა).

ტრეტიაკოვის გალერეის, რუმიანცევის მუზეუმის და სამეცნიერო დაწესებულებათა დათვალიერება.

საღამოს—საზეიმო სადილი მოსკოვის საბჭოს სახელით.

14 სექტემბერს

დილით—რუბლევის საქაჩავი სადგურის (სოფ. რუბლევოში), ქარხანა „ამო“-ს, „დინამო“-ს და სხვა დათვალიერება.

გამგზავრება „უზკოეში“—სამეცნიერო მუშაკთა დასასვენებელი სახლის დასათვალიერებლად.

საღამოს—კონცერტი დიდ აკადემიურ თეატრში.

პ. ჩ.

ამერიკელი პროფესორი საბჭოთა კავშირის მეცნიერებთან თანამშრომლობის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 აგვ. ცნობილმა პროფესორმა გოლდერმა, რომელიც მიიღებს მონაწილეობას საკავშირო სამეცნიერო აკადემიის 200 წლის საიუბილეო ზეიმში, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გაუცხადა, რომ ის უცხოეთის მეცნიერთა მიწვევას საიუბილეო ზეიმზე სთვლის პირველ ნაბიჯათ საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების მეცნიერთა თანამშრომლობის გზაზე.

გოლდერმა გამოსთქვა იმედი, რომ მიწვევა საფუძველს ჩაუყრის საბჭოთა კავშირის მეცნიერებთან ნაყოფიერ თანამშრომლობას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საერთაშორისო საფოსტო გადასახადის ახალი ნიხრი.

მოსკოვი. 18 აგვ. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა, 1 ოქტომბრიდან ძალაში შეიყვანოს ახალი ნიხრი საერთაშორისო საფოსტო ახალი გადასახადისა: წერილების შესახებ პირველი 20 გრამი—14 კ. ყოველი შემდეგი 20 გრამი—10 კაპ. საფოსტო ღია ბარათები: უბრალო—7 კაპ. გადახდილი პასუხი—14 კ.

ბერლენის მოგზაურობა.

მოსკოვი, 18 აგვისტო. დამთავრდა გემ „ბერლენის“ მოგზაურობა ვოლგაზე, რომელზედაც ხდებოდა საგლეხო სესხის გათამაშება.

მოგზაურობის დროს გემი გაჩერდა 82 ადგილას, უმეტეს ნაწილათ დაბებსა და სოფლებში. ჩატარებულია 30 მიტინგზე მეტი, სადაც დაესწრო 120,000 კაცამდე. ფინ. სახ. კომისარიატის მიერ გემზე მოწყობილი გამოფენა ინახულა 70.000 კაცმა, ცნობის ბიურომ მისცა 3.000 ცნობა და პასუხი. სააგიტაციო ლიტერატურა დარიგებულია 100.000 ცალზე მეტი. „ბერლენის“ მოგზაურობასთან დაკავშირებით საგლეხო სესხის ობლიგაციების მოთხოვნილება შესამჩნევათ გაიზარდა.

საკავშირო ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს დადგენილებათა შესახებ პროტესტის ვადა.

მოსკოვი, 18 აგვ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა აცნობა მოკავშირე რესპუბლიკათა ცაკებს, რომ თავიანთი პროტესტი საკავშირო ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს დადგენილებათა შესახებ აცნობონ ან უშუალოთ ან საკავშირო მთავრობასთან არსებულ მათ წარმომადგენლობის საშუალებით არა უგვიანეს ერთი თვისა—რაც დადგენილება შევიდა ძალაში.

გლეხის მეურნეობაზე გაცემულ სესხის პროცენტების რაოდენობა.

მოსკოვი. 18 აგვისტო. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა, რომ სასოფ.-სამეურნეო დაწესებულებების მიერ პირდაპირ გლეხის მეურნეობაზე გაცემულ სესხის პროცენტები არ უნდა აღემატებოდეს გრძელვადიან სესხის პროცენტებს.

სამხ. პოლიტიკურ კურსდამთავრებულთა გამოშვება

ამხ. ფრუნზეს სიტყვა

მოსკოვი, 18 აგვ. 17 აგვისტოს მოხდა პირველი გამოშვება სამხ.-პოლიტიკურ აკადემიურ კურსებზე სწავლა დამთავრებულთა. ამ შემთხვევის გამო გაიმართა აღლუმი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ამხ. ფრუნზე და განაცხადა შემდეგი:

„თქვენი პოლიტიკური მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მუშათა და გლეხთა ინტერესების შეთანხმების თვალსაზრისით. ყოველმა წითელარმიელმა უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურა და უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მოიპოვებენ გამარჯვებას გაერთიანებაში მუშები და გლეხები. ყოველი წითელი ჯარისკაცი არმიიდან დაბრუნების შემდეგ უნდა გადიქცეს საბჭოთა გავლენის გამტარებლათ მშრომელ მასსებში“.

ამხ. ფრუნზე განაგრძობს: „დისციპლინა წითელ არმიაში განმტკიცდა. ის ეხლა უძლიერეს იარაღს წარმოადგენს ჩვენთვის. თუ თვალს გადავავლებთ შარშანდელ წელიწადს, დავინახავთ, რომ ჩვენ მივაღწიეთ დიდ გაუმჯობესებას. დაუდევრობა უკვე მოსპობილია. ერთობ გაიზარდა გრძნობა პასუხისმგებლობისა. მაგრამ მტკიცე დისციპლინა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მის შეგნებულ შეთვისებაზე და ყოველი უფროსის ავტორიტეტის აუცილებლობაზე. დადგა დრო, როცა ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ დისციპლინაში გატარებულ და პოლიტიკურათ გათვითცნობიერებულ წითელარმიელის აღზრდას“.

ვინიჩენკო ბრუნდება უკრაინაში

ვარშავა. 17 აგვ. უკრაინელი გაზეთი „დილო“ ვინიჩენკოს ნებართვით აქვეყნებს ადგილებს წერილიდან, რომელიც გაეგზავნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველს ვარშავაში პრიხოდკოს. წერილში ვინიჩენკო ეხება საკითხს უკრაინაში დაბრუნების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა სტუმრები

მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 18 აგვისტო. მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ინგლის-საფრანგეთის დელეგაციამ მოსკოვში ჩამოსვლის პირველ დღეს 15 აგვისტოს დაათვალიერა მოსკოვის საბჭოს კალინინის სახელობის დასასვენებელი სახლი მოსკოვიდან 30 ვერსის დაშორებით. ამ სახლში ისვენებს 1.200 მუშა.

16 აგვისტოს დილით დელეგაციამ ინახულა ტრეტიაკოვის გალერეა, წყალსადენის მოსკოვის პროფკავშირთა საბჭო და ლენინის მთები. დელეგატებმა ინახულეს აგრეთვე ლენინის აკლდამა.

17 აგვისტოს მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის შენობაში გაიმართა მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის გამგეობის, ადგილკომის, უჯრედის ბიუროს და მოსამსახურეთა კრება მოსკოვში ჩამოსულ დელეგაციის პატივსაცემად.

საფრანგეთის სექციის გენერალურმა მდივანმა დიუკლიემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ის ჩამოვიდა იმ მიზნით, რათა ფაქტებით [illegible]ში დაიწყოს კამპანია სოციალ-დემოკრატების საზიზღარ ცილისწამების წინააღმდეგ; სოციალ-დემოკრატებიც ავრცელებენ ხმებს, რომ მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველგვარი საშუალებანი ხმარდება კომუნისტურ პროპაგანდას.

შემდეგ ენფილდმა აღნიშნა, რომ ადგილკომების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მუშაობა იძლევა იმის გარანტიას, რომ მუშათა მასები მჭიდროთ უკავშირდებიან წარმოებას და ქვეყნის სამეურნეო აღდგენის საქმეს.

კრების შემდეგ დელეგაციამ ინახულა „მეჟრაბპომ-რუს“-ის კინოფაბრიკა.

მასწავლებელთა დელეგაცია განათ. მუშაკებთან

მოსკოვი, 18 აგვისტო. 15 აგვისტოს მასწავლებელთა დელეგაცია ეწვია განათლების მუშაკთა ცენტ. გამგეობას, რომლის სახელითაც მას მიესალმა ამხ. კორისტილიოვი.

დელეგაციის სახელით უპასუხა ვანდენხეველმა, რომელიც დიდათ არის გაოცებული საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული წარმატებით.

მოსკოვი, 18 აგვისტო. 16 აგვისტოს მასწავლებელთა დელეგაცია ავტოებით გაემგზავრა მალი იაროსლავეცში (მოსკოვიდან 100 ვერსის სიშორეზე), სადაც ინახულეს განათლების კომისარიატის საჩვენებელ—საცდელი სადგური.

17 აგვისტოს დელეგაცია ესტუმრა პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს. 6 ნახ. მილიონ შეკავშირებულ მუშა-მოსამსახურეთა და პრეზიდიუმის სახელით დელეგაციას მიესალმა ამხ. მელჩარსკი.

დელეგატები მრავალ შეკითხვებს იძლეოდენ პროფკავშირებისა და სამეურნეო აღმშენებლობის შესახებ, რაზეც ამომწურ პასუხს აძლევდა ამხ. მელჩარსკი.

დელეგატები—ლენინის საფლავზე.

მოსკოვი, 18 აგვისტო. უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციის თავმჯდომარემ და სხვადასხვა ჯგუფთა მდივნებმა გვირგვინით შეამკეს ლენინის საფლავი. წითელ ლენტს ამშვენებდა შემდეგი წარწერა: „დასავლეთის მასწავლებელთა პირველი დელეგაციისაგან—ჩვენ დიდ ბელად ლენინს“.

აკლდამიდან გამოსვლისას აღტაცებული სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელ-დელეგატმა ტონერმა (კომუნისტი).

დელეგატებმა ერთხმათ იმღერეს ფრანგულ და გერმანულ ენაზე ინტერნაციონალი და შემდეგ ინახულეს საფლავები ამხ. ნოგინის, ნარიმანოვის, ჯონ რიდის, პოდბელსკისა და ვლადიმიროვის.

მენშევიკ ფაშისტების თავხედობა პარიზში

თავდასხმა საბჭოთა მოქალაქეთა კრებაზე

ნ. მიწიშვილს მისცეს წინადადება დასტოვოს საფრანგეთი

მილიუკოვი იცავს ქართველ ფაშისტებს

პარიზი, 17 აგვისტო. 5 აგვისტოს კაფე „ვოლტერ“-ში პარიზში გაიმართა საზოგადოება „ახალი საქართველოს“ დამფუძნებელი კრება; საზ—ში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა საქართველოს მოქალაქენი და ის პირები, რომელთაც სურთ მიიღონ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეობა.

კრებას, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა 20 კაცი, თავს დაესხა 40 შეიარაღებული ქართველი, კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციების წევრი. თავდამსხმელებმა ქუჩაში გამოჰყარეს შეკრებილები და დაუწყეს ცემა ქალებსაც-კი. პოლიციამ დააპატიმრა 16 კაცი.

თავდამსხმელთა შორის იყვნენ: კინწურაშვილი, რომელიც იმყოფება საფრანგეთის სამხედრო სამსახურში, ქართველ მენშევიკურ ორგანიზაციის მდივანი პარიზში ლორდელი, რომელიც ამავე დროს არის ფაშისტურ ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ წევრი, ნიკოლოზ დგებუაძე, სტუდენტ-ემიგრანტთა კავშირის თავმჯდომარე და აგრეთვე საფრანგეთის პოლიციის აგენტი, მიხეილ კედია—მენშევიკურ განსაკუთრებული რაზმის ყოფილ უფროსის შვილი და ქართულ ფაშისტურ ორგანოს „სამშობლოს“ რედაქტორის ძმისწული, შემდეგ შოთა ქარცივაძე—მენშევიკურ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრის—რამიშვილის აგენტი, [illegible]—ყოფილი მოფერი, გერასიმე გეგეჭკორი, ბოლქვაძე, აკაკი მეფარიშვილი, ფერაძე, ჭერაბიშვილი, მოხიძე, სიანა (სანაია?), ტარიაშვილი, ბერნიანი (?), გრიგოლია და ზამბახიძე. დანარჩენ თავდამსხმელთა პიროვნება გამორკვეული არ არის.

მათ შორის იმყოფებიან, სხვათა შორის, ჩოლოყაშვილის ბანდის წევრები, რომლებიც პარიზში ჩავიდენ შარშანდელ აჯანყების შემდეგ.

რადგან დაპატიმრებულთა შორის იმყოფებოდა საფრანგეთის აფიცერი (კინწურაშვილი), ყველანი მეორე დღესვე გაანთავისუფლეს. მიუხედავათ იმისა, რომ თავდასხმა თეთრგვარდიელებმა მოახდინეს, პარიზის პოლიციამ წინადადება მისცა საქართველოს წარმომადგენელს საბჭოთა ხელოვნების პავილიონ მიწიშვილს დასტოვოს საფრანგე ვინაიდან ის იყო კრების ორგანიზ ტორი.

ამ ინციდენტის შემდეგ ს ფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა მილიუკოვის „პოსლედნიე ნ ვოსტი“ ეწევიან კამპანიას საბჭ საქართველოს მოქალაქეთა წინა მდეგ. მიუხედავათ ამისა უკა ნასკნელებმა გადასწყვიტეს მოიწ თავიანთი საზოგადოების ახა კრება. გარდა ამისა მათ მიმარ საბჭოთა კავშირის სრულუფლე წარმომადგენლობას თხოვნით იღოს ისინი თავის მფარველობ ქვეშ და მოუპოვოს ის უფლებ რომლითაც სარგებლობენ სხვა ხოვლები საფრანგეთში. იმ პირებ რომლებსაც თავს დაესხნენ, მიმ თეს სასამართლოს სათანადო სა რით და თავიანთი ინტერეს დაცვა მიანდვეს ცნობილ ვექ ტორრესს.

მომხდარი თავდასხმა მოამზად ქართველ ემიგრანტულ გაზეთ „ბრძოლამ“ და „სამშობლოს“ რ ტაქტორებმა.

პარტიული ცხოვრება

პარტ-ინსტრუქტორების მუშაობის შესახებ

სოფლად პარტიის დღევანდელი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს მუდმივი კანტროლის არსებობას, უშუალო ხელმძღვანელობას და დათვალიერებას ადგილობრივი პარტორგანიზაციებისას. აი ამ შემთხვევაში უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი პარტიული საინსტრუქტორო აპარატი, რომელსაც მაზრების პარტკომების მუშაობაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილიც უკავია.

მაგრამ აქ სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ არა ყველა პარტიული ორგანიზაციები აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ საინსტრუქტორო მუშაობას.

ხშირი იყო და დღესაც არის ისეთი შემთხვევები, როდესაც პარტკომები საინსტრუქტორო მუშაობაზე ნიშნავდენ ან ნიშნავენ იმ ამხანაგებს, რომლებიც სრულიად გამოუსადეგარი არიან ამ საქმისათვის.

„უნდა წამოვაყენოთ ამხანაგი, დეე მანაც იმუშაოს“—ასე მსჯელობენ ზოგიერთი პარტკომები, რაც, ცხადია, დაუშვებელი და მიუღებელია იმ უბრალო და ადვილ ასახსნელ მიზეზის გამო, რომ საინსტრუქტორო მუშაობაზე ახლად წამოყენებული ამხანაგი ვერ გაუძლებს ამ მეტად რთულ და მძიმე მუშაობას.

მაშ რა გვმართებს ჩვენ ამ შემთხვევაში?

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირზე მიღებულ რეზოლიუციის მეორე მუხლში სხვათა შორის ნათქვამია: „აუცილებლად საჭიროა, რომ ინსტრუქტორთა შემადგენლობაში შერჩეული იქნეს ისეთი ამხანაგები, რომლებიც თავიანთი მომზადებით და პარტიული გამოცდილებით არ ჩამოუვარდებიან ორგანიზაციის ქვედა პარტკომების მდივნებს კვალიფიკაციას. სასურველია აგრეთვე, რომ ინსტრუქტორებათ გამოყოფილ იქნენ თვით პარტკომების წევრები ან და კანდიდატებიო“.

საქმის და სოფლად პარტ[illegible]ბის გამოცხოველების ინტერესები მოითხოვენ, რომ ადგილობრივმა პარტკომებმა სავსებით გაატარონ ცხოვრებაში ზემოაღნიშნული დადგენილება ისე რომ, ზამთრის პერიოდისათვის მაინც საკითხი საინსტრუქტორო აპარატის თვისობრივ შემადგენლობის შესახებ სასურველად იქნეს გადაჭრილი.

ამასთანავე ერთად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ გამომუშავებულ იქნას საინსტრუქტორო აპარატის კონკრეტიული ამოცანები და მუშაობის სრული მეთოდები. ეს მით უმეტეს, რომ დღეს სოფლად შექმნილია ახალი პირობები, რაც მოითხოვს მუშაობის ძველი წესების უარყოფას და მისგან გამიჯვნას.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სოფლის კომუნისტებმა სწორად გაიგონ პარტიის პოლიტიკა, რომ მათ სწორად მიუდგენ სოფლის ცხოვრების საკითხების გადაჭრას და არ ჩამორჩენ სხვას, ან და არ დააგვიანონ პარტიის მიერ ახლად მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. ამ შემთხვევაში პარტინსტრუქტორთა ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათ აქეთკენ წარმართონ თავიანთი მუშაობაც. ეს ერთი.

მეორეც ის, რომ, თუ დღემდე ინსტრუქტორები სოფლად პარტორგანიზაციების დასათვალიერებლად მივლინებული იყვნენ მხოლოდ რამოდენიმე, 2—3 დღით და ამავე დროს ისინი ცდილობდენ, რომ დაეთვალიერებიათ მაგალითად არა ერთი ან ორი უჯრედი, არამედ რამოდენიმე ერთად—მომავალში ჩვენ გვმართებს, რომ მუშაობის ასეთი მეთოდზე ხელი ავიღოთ.

ჩვენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ინსტრუქტორი არა 2—3 დღე, არამედ 2—3 კვირის განმავლობაში იმუშავებს თუ გინდ მხოლოდ ერთ რომელიმე უჯრედის შესწავლაზე, მაგრამ ეს შესწავლა იქნება არსებითი და არა ზერელე ხასიათის. სჯობს ინსტრუქტორების მიერ დათვალიერებულ ორგანიზაციების რაოდენობა მცირე იყვეს, ამისათვის მეტი დროც დაიხარჯოს, მაგრამ ადგილები კარგად იქნენ დათვალიერებული, ვინემ სრულიად არა საკმაო დროის განმავლობაში ორგანიზაციების მეტი რიცხვი თვალიერდეს და ისიც ზერელეთ.

უფრო მეტიც. სასურველი იქნებ რომ ჩვენს პრაქტიკაში შემოვიღ დეთ ისეთ მეთოდსაც, როდესაც თუ იმ სოფლის, ან თუგინდ მასშტაბით სუსტ პარტუჯრედებ მუშაობის შესასწავლად მივავლინ დეთ ინსტრუქტორებს იმ დრო სანამ მათი უშუალო ხელმძღვან ლობის ქვეშ ამ უჯრედების მუშ ბას არ დავაყენებთ თავიანთი და შნულების სიმაღლეზე.

ი—ი.

პროპაგანდისტები კომკავშირს

კომკავშირის პირველ ხარისხოვანი ამოცანაა კომუნისტური ახალგაზრდობის ლენინური აღზრდა. კომკავშირელებისათვის სათანადო პოლიტიკური ცოდნის მიცემით და მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიური ჩაბმით ჩვენ შევსძლებთ ამ ამოცანის სასურველად გადაჭრას.

გასულ ზამთრის პერიოდში კავშირმა ქალაქად კიდეც გაატარა პოლიტგანათლების მთლიანი სისტემა წევრები ცოდნის მიხედვით გაყოფილ იქნენ სამ კატეგორიათ და მეცადიეობდენ შესაფერ წრეებში; სოფლად შემოღებული იყო პოლიტკითხვის ჯგუფები და პოლიტწრე.

აქედან მივიღეთ ნაყოფი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც სასურველია და აუცილებელი. ამის უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზათ კი ითვლებოდა ლიტერატურის უქონლობა და ძალების სიმცირე.

წელს პირველი დაბრკოლების გადასალახავად უკვე გადადგმულია ნაბიჯები. წრეები უნდა უზრუნველვყოთ ლიტერატურით, ხოლო ძალებით პარტია უნდა დაეხმაროს, ეს საჭიროა არა მარტო იმიტომ რომ კავშირს თავის რიგებში ბლომათ არ მოეძებნება ძალები, არამედ ახალგაზრდობის ლენინური აღზრდა შეუძლია მხოლოდ პარტიის წევრებს.

კავშირის მესამე საფეხურის წევრების საგრძნობი ნაწილი პარტიულია, ამიტომ ისინი მთლიანად ჩაბმული იქნებიან პარტიულ პოლიტგანათლების ქსელში.

მაგრამ პარტიის მოვალეობა ამ არ ამოიწურება: პარტიამ საუკეთ სო პროპაგანდისტები უნდა მის კავშირს—მეორე და პირველ სა ხურის პოლიტწრეების ხელმძღ ნელოთ. ეს წინეთაც ასე უნდა ყ ფილიყო, მაგრამ ზოგიერთ პარტ ულმა კომიტეტებმა და გამოყოფ ხელმძღვანელებმა გულცივობა გა იჩინეს, რაც მომავალში არ უნ განმეორდეს.

სხვათა შორის ამის ცხად ლათ მოვიყვანთ ასეთ ფაქტს: ერ მაზრის მომუშავემ პარტკომის ნუმზე განაცხადა: „რომ დავა ნოთ კომკავშირის პოლიტწრეებს ეცეს ძალები, არ ღირს, ეს წრე მანიაო“. აგრეთვე იმავე მაზრ მესამე საფეხურის წრემ გამოიცვა რამდენიმე ხელმძღვანელი და ა ერთ წრეს არ უმეცადინებია.

ი ასეთი ნაკლი მხოლოდ მაშ აღმოიფხვრება, თუ გაიზრდება პა სუხისმგებლობა კომიტეტებსა ცალკე წევრებში, ჯეროვნად და დება პოლიტსკოლების როლი.

ამ საკითხს დიდი ყურადღება აქცია მე-14 პარტკონფერენცი როდესაც დაადგინა: პარტიამ საუ კეთესო ძალები უსათუოდ უნდა მი ცეს კომკავშირსო.

ეს ავტორიტეტული დადგენილ ურყევად უნდა შესრულდეს.

პოლიტსკოლების მეცადინეობ დი იწარმოებს ხელმძღვანელთა მო ზადება—პროგრამების, მეთოდებ და ზოგიერთ საუბრების შესწავლ მიზნით,—პარტამხანაგებმა ეს არ და ითაკილონ.

ბროლ.

სხვადასხვა

— **კომუნისტების პროტესტი სტამბოლში.** დამთავრდა კომუნისტების საქმის გარჩევა, 7 კაცს გადაუწყვიტეს 20 წლის ციხე, 5—15 წლის, 5 კი—10-ის.

— **სადულის საქმის გარშემო.** ნახევრათ ოფიციალური ცნობით, გამომძიებელმა შესწყვიტა სადულის საქმე საგარეო საქმეთა მინისტრის შეკითხვის შემდეგ. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ იმ დროს, როცა სადულმა ჩაიდინა ქმედობა, რომლისთვისაც ის პასუხისგებაშია მიცემული, საფრანგეთს ომი არ ჰქონია რუსეთთან.

— **„თავისუფლად მოაზროვნეთა“ კონგრესი.** „თავისუფლად მოაზროვნეთა“ საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც პარიზში გაიმართა, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც პროტესტს აცხადებს თეთრი ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში. პოლონეთის პრემიერს დეპეშით გაეგზავნა პროტესტი ბოტვინის დახვრეტის გამო.

— **კომუნისტების დევნა პოლონეთში.** ვინაიდან კელცში გახშირდა შემთხვევები წითელი დროშების გამოკიდებისა წარწერით „სიკვდილი პროვოკატორებს“, „გაუმარჯოს პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკას“, დაპატიმრებულია 10 კაცი, რომელთაც ბრალათ ედებათ კომკავშირის წევრობა.

— **აკრძალული სიტყვები.** გაზ. „ეხო“-ს რედაქტორი ამ დღეებში გამოიძახა ხარბინის (მანჯურია) პოლიციის უფროსმა და გააფრთხილა არ იხმაროს გაზეთში სიტყვები: პროფკავშირი (პროფკავშირების არსებობა აკრძალულია მანჯურიაში), რევოლიუციონური ფრონტი, მუშების ბრძოლა ბურჟუაზიასთან და სხვ.

— **ფაშისტური დემონსტრაცია ვენაში.** ვენაში (ავსტრია) გაიხსნა სიონისტთა კონგრესი. ამის გამო ფაშისტებმა დანიშნეს დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ აკრძალა) დემონსტრაცია მაინც გაიმართა. მოხდა შეტაკება, რომლის დროს რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

— **გლეხთა აჯანყება.** ბუკოვინის სოფელში (რუმინეთი) სუჩევაში მოხდა გლეხთა აჯანყება. გლეხებმა თვითონ აირჩიეს ქალაქის თავი და დაიკავეს ადგილობრივი თვითმართველობის შენობა. გლეხების წინააღმდეგ გაგზავნილია დამსჯელი რაზმი.

— **არჩევნები რუმინეთში.** მთელს რუმინეთში დაიწყო საარჩევნო კამპანია. მთავრობის აგენტებმა ბუდესტში სცემეს 20 გლეხებს. ქალაქ კუშნიოუნში და ჩაპლანში სცემეს გლეხთა პარტიის აგიტატორებს.

— **„ატამან“ სემიონოვის შუამდგომლობა.** სემიონოვმა ცნობილმა თეთრგვარდიელმა და ბანდიტმა სთხოვა იაპონიის მთავრობას შე[illegible] ის იაპონიის ქვეშევრდომათ

რა ხდება უცხოეთში.

ახალი აჯანყება ფრანგების წინააღმდეგ

ცნობამ დრუზების აჯანყების შესახებ სირიაში, სასოწარკვეთილებაში დი მიიყვანა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი. მძიმე ფინანსიურ კრიზისს, მაროკოს ომს, მეტად სახიფათო მოლაპარაკებას საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ დაემატა ახალი საზრუნავი საგანი: კოლონიალური ომი სირიაში.

5 წლის წინათ, 1920 წ. 25 აპრილს, ინგლის საფრანგეთს შორის სანრემოში მოხდა შეთანხმება, რომლის ძალით საფრანგეთმა მიიღო „მანდატი“ სირიაზე. მართალია, ოსმალეთის ამ ყოფილი პროვინციის მოსახლეობა ძლიერ მტრულათ შეხვდა და ახალ „მზრუნველებს“: არაბთა და სირიელთა მრავალი ტომები აჯანყდენ ფრანგების წინააღმდეგ, მაგრამ უკანასკნელნი უფრო ძლიერი აღმოჩნდენ. აჯანყება ჩააქრეს და საოკუპაციო ჯარის სარდლობა შეუდგა ნაციონალური მოძრაობის ყოველგვარი გამოხატულების დევნას. დაიწყო ჩხრეკა-დაპატიმრება, „საეჭვო პირების“ გადასახლება, გაზეთების დახურვა. ამავე დროს ფრანგები თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად ქრისტიანულ მოსახლეობას ამხედრებდენ მუსლიმანების წინააღმდეგ.

მაგრამ ეროვნულ მოძრაობასთან ხიშტებითა და ციხეების საშუალებით ბრძოლამ არ გამოიღო სასურველი ნაყოფი. პირიქით, მან დამპყრობელების წინააღმდეგ გააერთიანა სირიის მოსახლეობის ყველა ფენები და ოპოზიციონურ ბანაკში გადაისროლა თვით სირიის ბურჟუაზიაც, რომელიც ერთგვარ ხელსაყრელ პირობებში, რასაკვირველია, უარს არ იტყოდა ფრანგებთან თანამშრომლობაზე.

მაშინ ფრანგებმა შესცვალეს ტაქტიკა. სირიაში გენ. ვეიგანის ნაცვლად, რომელიც თავის პოლიტიკით სირიის მოსახლეობას აღელვებდა, გაიგზავნა გენერალ სერრაილი, რომელსაც საფრანგეთში რადიკალად თვლიან უკანასკნელმა ვეიგანის მიერ შემოღებული ტერორისტული რეჟიმი შეარბილა. პოლიტიკურ პატიმართა ნაწილი გაანთავისუფლეს. სასწრაფო წესით მოახდინეს არჩევნები ცალკე პროვინციების „პარლამენტებში“. ყველაფერ ამ ს მოსახლეობაში უნდა განემტკიცებია აზრი, რომ დაიწყო „ახალი ხანა“, რომ ფრანგები ნამდვილად ატარებენ ცხოვრებაში სირიის დამოუკიდებლობის იდეას.

თვით საფრანგეთში გენ. სერრაილის ახალმა პოლიტიკამ აღშფოთება გამოიწვია მემარჯვენეებში, რომლებიც ბრალსდებდენ მას საფრანგეთის პრესტიჟის დამცირებაში. მემარჯვენე პრესამ კამპანია დაიწყო მის წინააღმდეგ, მემარცხენე ბლოკის პრესა კი დამცველად გამოვიდა. დაიწყო გაცხოველებული კამათი იმის შესახებ რომელია უკეთესი: გენ. ვეიგანის მკაცრი რეჟიმი თუ გენ. სერრაილის „დათმობის პოლიტიკა“. სანამ საფრანგეთში ერთმანეთს ცდავებიან, სირიის მოსახლეობამ თვითონ გადასჭრა ეს საკითხი: დრუზების აჯანყებამ დაამტკიცა, რომ ფრანგებმა საკმაოთ მოაბეზრეს თავი სირიელებს და რომ ლაპარაკია არა „მეთოდების“ უკეთეს—უარესობაზე არამედ ფრანგ კაპიტალისტების და მათი ჯარების სრულიად განდევნაზე სირიიდან.

დრუზების აჯანყება გამოიწვია არაჩვეულებრივმა სისასტიკემ, რომელსაც ფრანგები მიმართავდენ უკანასკნელი არჩევნების დროს წარმომადგენლობითი საკრებულოებში. თუმცა ამ საკრებულოებს მხოლოდ სათათბირო ხასიათი აქვთ, მიუხედავად ამისა საფრანგეთის ჯარების სარდლობამ ყველა ღონისძიებას მიმართა, რომ არჩეული ყოფილიყვენ საფრანგეთის მომხრეები, რომლებიც საშინლათ სძულს ადგილობრივ მოსახლეობას. მთავრობის აგენტები არ ერიდებოდენ თაღლითობას ხმების დათვლის დროს, ცალკე საკანდიდატო სიების მოპარვას, ამრჩეველთა აშკარა მოსყიდვას. სპეციალური ნიხრიც კი იყო შემოღებული ხმების საყიდლად. მთელ ამ მახინაციებს შედეგათ მოყვა ის, რომ საფრანგეთის მომხრეები ყველგან არჩეული იქნენ ისეთის დიდი უმრავლესობით და თვით საფრანგეთის წარმომადგენლები ჩავარდენ უხერხულ მდგომარეობაში და ხალხს „საგამომძიებლო“ კომისიის დანიშვნა აღუთქვეს.

არჩევნების შედეგებმა მთელს სირიაში აღშფოთება გამოიწვია. სირიის მთიან რაიონში, დრუზების ტომით დასახლებულ ოლქში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: ერთ-ერთი სოფლის დეპუტატმა ხელი მოაწერა საფრანგეთის მთავრობის აგენტების მიერ შედგენილ მიმართვას, რომლითაც მოსახლეობა ვითომდა ითხოვდა წინანდელი ფრანგი გუბერნატორის დაბრუნებას. ეს გუბერნატორი კი საშინლათ სძულდა მოსახლეობას. როცა ხალხმა გაიგო ამის შესახებ, სცემა დეპუტატს, რომელსაც ფრანგები გამოესარჩლენ. ფრანგების ჯარს სროლით შეხვდენ. მაშინ გამოგზავნეს დამსჯელი ჯარი: სოფელს ჯარიმა დაადეს და მოსთხოვეს „მეთაურების“ გაცემა. მეთაურები, რასაკვირველია, არ გასცეს, მღელვარება მოედო სხვა სოფლებსაც და ჩქარა მთელი ოლქი აჯანყდა ფრანგების წინააღმდეგ.

საეჭვოა, რომ ფრანგები ჩქარა მოახერხებენ აჯანყების ჩაქრობას. მართალია დრუზთა ტომი მცირერიცხოვანია—სულ 100.000 კაცი თუ იქნება. მაგრამ დრუზები მთიელი ხალხია, გულადი, მეომარი და მათი დამორჩილება არც ისე ადვილია, მით უფრო, რომ სირიის მოსახლეობის თანაგრძნობა მათ მხარეზეა.

აბდ-ელ-ქერიმის მიერ მაროკოში დაწყებულ აჯანყებას გამოეხმაურენ სირიელი დამონებული ტომებიც.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისის მაზრა

კომკავშირის უჯრედის წლის თავი

ქუთაისი, 18 აგვისტო. 22 აგვისტოს შესრულდება ექვსი წელი ქუთაისის, კომკავშირის ერთ-ერთი უჯრედის რომელიც 1919—1921 წლამდე ეწეოდა არალეგალურ მუშაობას. ახლა უჯრედში ითვლება დაახლოვებით 30 წევრი. ექვსი წლის თავის დღეს კომკავშირლების კლუბში შესდგება მიტინგი და ამავე დროს ზოგიერთი ძველი უჯრედების წევრები გადაყვანილ იქნებიან წევრებად კომუნისტურ პარტიაში.

აჯამეთის არხის განახლების მუშაობის შეჩერება

სახსრის უქონლობის გამო დროებით შეჩერებულია მუშაობა აჯამეთის არხის განსაახლებლათ.

ახალქალაქის მაზრა

საქონლის ჭირი

ბარალეთის თემში ადგილი აქვს საქონლის დაავადმყოფებას თურქულით. აღრიცხულია 200-დე დაავადმყოფებული საქონელი. მცხოვრებლებს ეძლევა დახმარება მედიკამენტებით.

ქალაქის საბჭოს შედგენა.

მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ეხლავე შეუდგნენ ქალაქის საბჭოს შედგენას, აქამდე ქალაქს არ ქონდა საბჭო, ქალაქის საჭიროებებს აკმაყოფილებდა მაზრის აღმასკომი.

თაფლის გასაღება

მეფუტკრეობის სამაზრო კავშირი „მეგუ“ აწარმოებს თაფლის გასაღების კომპანიას. მეფუტკრეებს ეძლევათ ავანსის სახით 12 მანეთი ფუთზე. გასაღების შემდეგ მეფუტკრეები მიიღებენ 50 პროცენტს მოგებას.

წერილები ადგილებიდან

პარტიული მუშაობა სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრის პარტორგანიზაცია აერთიანებს სულ 57 უჯრედს. ამათში 2 ქალაქის უჯრედია, 3 სამხედრო, 1 საწარმოო, 3 სატრანსპორტო და 48 გლეხური. ყველა ეს უჯრედები თავის გარშემო ითვლის 482 წევრს და 134 კანდიდატს. ქალაქის უჯრედებში მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად: სხდომები ეწყობა სისტემატიურად, რომლებზედაც ყველანი უკლებლივ ესწრებიან და თვითმოქმედებაც თავის სიმაღლეზე სდგას. რაც შეეხება გლეხურ უჯრედებს, აქ უკვე მდგომარეობა სულ სხვაა. გლეხურ უჯრედებში მუშაობა მოდუნებულია. უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ რაიკომებს არა ყავთ სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, რომლებსაც შეეძლოთ ამ უჯრედებისათვის სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა. ამას კიდევ თან ერთვის ისიც, რომ ამჟამად გლეხები გაბნეულნი არიან მინდვრად სამუშაოდ, რაც უეჭველად გავლენას ახდენს უჯრედების საერთო მუშაობაზე. სწორედ ამით აიხსნ ის გარემოება, რომ უპარტიო გლეხთა რის მუშაობაც საგრძნობლად მოისუსტ მაზრის მასშტაბით პარტამხანაგების ლიტიკური განვითარების დონე ძლიერ ბალია. წერა-კითხვის უცოდინართა რა დენობაც მეტად დიდია. თუმცა სამაზრ ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად მი ბული აქვს ზომები, მაგრამ აუცილებ საჭიროა პოლიტ-სკოლების და სკოლების ქსელის კიდევ უფრო ფართოება. კავშირი სამაზრკომს რაიკომებს შორის კარგია, მაგრამ შირი სოფლის უჯრედების მიმართ სუსტებს. აქ აღნიშნული უნდა იქნეს დეგი ნაკლებიც: სამაზრკომი თავისი ს მებზედ სრულიად არ იწვევს რაიკომ და თემკომების პასუხისმგებელ მდივნ არ არის შემოღებული შეჯიბრებაც. ამას მ მავალში უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურ ღება.

დ. ვაჩეიშვილ

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ქალაქის მესამე რაიკომის საყურადღებოთ.

მესამე რაიკომს აქვს გახსნილი თავისი სამკითხველო, რომელიც სავსებით ამართლებს თავისი დანიშნულებას. სამკითხველოში ბლომად მოიპოვება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, რომლებიც სპეციალურად შერჩეული არის კომკავშირელი მასისათვის. თვით კომკავშირლებიც მეტად კმაყოფილი არიან ამ სამკითხველოთი. მაგრამ აქ, სამწუხაროთ, არის ერთი ნაკლი, რომელიც დღემდე შეუმჩნეველი ქს ის, რომ სამკითხველოში არ არის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თი „სპარტაკი“. განა ეს დასაშვებია? კომკავშირელი არ უნდა კითხულობდეს ვის საკუთარ გაზეთს? საჭიროა ამ ნაკ აღმოსაფხვრელად რაიკომმა მიიღოს მები.

არჩ. ქალაგიშვილ

კომკავშირის მტერს ლაგამი უნდა ამოედვას

სოფელ კავთისხევში სცხოვრობს ვინმე მორდუხა ბააზაშვილი, რომელსაც ყავს 16 წლის ძმა. ეს უკანასკნელი საკმაოდ გათვითცნობიერებულია პოლიტიკურად. მას სურს შევიდეს კომკავშირში, მაგრამ ხსენებული ვაჟბატონი, მორდუხა ბააზაშვილი არ უშვებს, რომ ჩაეწეროს ის კომკავშირში და ისწავლოს. პირიქით, მუდამ სცემს და მოკვლითაც ემუქრება მას. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ეს ვაჟბატო ითვრება და მთელს უბანს აწიოკებს. კავთისხევის კომკავშირის უჯრედმა ჯერო ვანი ყურადღება მიაქციოს ამას და ა გაზრდა ყმაწვილი, რომელსაც ს სწავლა-განათლება, იხსნას საზოგადო სათვის ამ მავნე პიროვნების ბრჭყ ბიდან.

გ. წიკლაურ

ეკონომიური აღმშენებლობა

პოლიგრაფიული მრეწველობა

წარმოების იარაღების განახლება.—ახალი მანქანების შეძენა.—სამკინძავ სახელოსნოს მოწყობა.—გაზის ქარხნის გადაკეთება.—შრიფტის გამოცვლა.—სახელმწიფო დოტაცია.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია წარმოების მთავარი იარაღების და შრიფტების განახლება, ახალი ტიპის მანქანების შეძენა, გაზის ქარხნის გადაკეთება, სიტყვების ჩამომსხმელი სახელოსნოს სამანქანო განყოფილების და ლიტოგრაფიის შენობის გაფართოვება.

ამ ჟამათ საქართველოს პოლიგრაფიული ტრესტის წარმოებებში არის 27 პრტყელი მანქანა. გამორკვეულია, რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ 27 მანქანიდან 20 გაფუჭდება და უვარგისი იქნება სახმარებლათ. ამიტომ გეგმა ითვალისწინებს ამ 20 მანქანის შეცვლას და ამას გარდა 6 ახალი მანქანის შეძენას.

ტრესტს უკვე აქვს შეძენილი 8 მანქანა, ასე რომ კიდევ შეძენილი უნდა იქნეს 18 მანქანა—17 პრტყელი მანქანა ახალი ტიპის და ერთიც როტაციული. ეს უკანასკნელი გეგმის თანახმათ შეძენილი უნდა იქნეს პირველ წელში. ძველი მანქანების განახლებას და ახლის შეძენას დასჭირდება 152.000 მანეთი

ამასთან ერთად კვალიფიცირებული ასოთ-ამწყობების ნაკლებობის გამო და აგრეთვე აწყობის დაჩქარების მიზნით გეგმაში გათვალისწინებულია 10 მექანიკური ამწყობი მანქანის-ლინოტიპების შეძენა, რასაც დასჭირდება 100.000 მანეთი.

ტრესტის წარმოებებში ამ ჟამათ არის 2.215 ფუთი ჩვეულებრივი და 1.130 ფუთი სათაურებისათვის სახმარი შრიფტი. ამ შრიფტიდან, გეგმის თანახმად, ხუთი წლის განმავლობაში უნდა შეიცვალოს 100 პროც. ჩვეულებრივი და 30 პროც. სათაურებისათვის სახმარი შრიფტი. ამას გარდა შეძენილი იქნება 750 ფუთი ახალი შრიფტი. შრიფტის აღნიშნული რაოდენობის შეძენას დასჭირდება 75.900 მანეთი.

გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე ამკინძავი სახელოსნოს მოწყობა, არსებული მანქანების შეცვლა და ახალის შეძენა, რასაც დასჭირდება 41,700 მანეთი.

სიტყვის ჩამომსხმელ სახელოსნოსათვის უკვე გამოწერილია სამი კომპლექტიური მანქანა, მაგრამ გეგმა ამას გარდა ითვალისწინებს კიდევ სამი ასეთი მანქანის და სხვადასხვა მექანიკური ხელსაწყოების შეძენას. ამ სახელოსნოსთან არსებული გაზის ქარხანა გადაკეთებული იქნება. ყველა ამისათვის საჭირო იქნება 39.000 მანეთი.

ლიტოგრაფიაში დადგმული იქნება ორი ახალი სწრაფმბეჭდავი მანქანა და შეცვლილი იქნება ხუთი ძველი მანქანა; ამასთანავე შეძენილი იქნება ლიტოგრაფიული ქვები და სხვა ხელსაწყოები, სულ 102.800 მანეთის ღირებულებისა.

ვინაიდან ტრესტს არა აქვს საშუალება ყველა ეს ხარჯები დაფაროს თავისი წყაროებიდან, საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო მიეცეს მას პირველი სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო დოტაცია 478.888 მანეთის რაოდენობით.

სამთომადნო და ქიმიური მრეწველობა

საქართველოს საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ს. მ. უ. საბჭოს სამთო განყოფილების 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა. ეს გეგმა შეეხება შროშის ქარხანას, მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხანას, ბარიტის ამოღებას, რკინის სურინჯის, ქანგმინის და ქვიცარცას, ლითოგრაფიული ქვის, ქანცვილის და ბიტუმინური სილის (ასფალტი) გადამუშავებას და გასაღებას.

ჩამოთვლილ წარმოებებიდან მუშაობს მხოლოდ შროშის ქარხანა სადგ. ძირულასთან, ხოლო დანარჩენები საჭიროებენ მომავალში მოწყობას. ამისათვის ზოგიერთი მადნეულობათა გეოლოგიური გამოკვლევა უკვე სწარმოებს და მახლობელ 5 წლის განმავლობაში უნდა გაკეთდეს შემდეგი:

შროშის ქარხანა

შროშის ქარხანა, საქმის ნორმალურად დაყენებისათვის, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მასალით, რისთვისაც საჭიროა 200.000 ფუთი თიხა.

გლაუბერის მარილი.

საქართველოში გლაუბერის მარილი მოიპოვება მუხროვანში და აზამბურის (გარე-კახეთის) რაიონში, რომლის მარაგიც უდრის ორთავე რაიონში 10 მილიონ-ნახევარ ფუთს.

რათა ექსპლოატაცია მისი რაციონალურად მოეწყოს, საჭიროა მუხროვანის ქარხნის გადაკეთება და მადნის ამოღების გადიდება—100.000 ფუთამდე, რაც მოითხოვს 60 მუშას და დასჭირდება 30.000 მანეთი.

ბარიტის გადამუშავება.

ბარიტი გვხვდება მრავლად დას-საქართველოში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობისათვის; იგი რამდენადაც უვნებელია ადამიანისა და ცხოველისათვის, იმდენად მავნებელია მავნებებისათვის. ამისათვის მასზე მოთხოვნილებაც დიდია.

რათა ექსპლოატაცია ჩვენი ბარიტისა გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს, ამისათვის გადაზიდვის გასაადვილებლად გაკეთდება დაკიდებული თოკის გზა, მოეწყობა ბარიტის დასაფქვავად წისქვილი. 1926—27 წელს კი მოეწყობა ქიმიური ქარხანა ბარიტისაგან ქიმიური მასალების მისაღებად.

ასევე არის გათვალისწინებული აღნიშნულ გეგმაში ღონისძიებანი დანარჩენ მადნეულებათა წარმოების მოსაწყობად და განსავითარებლად.

ტყავის მრეწველობა

ტყავის მრეწველობაში გატარებული იქნება მექანიზაცია.—საჭირო მანქანები და მოწყობილობა ნაწილობრივ უკვე მიღებულია უცხოეთიდან.—პირველ ტყავის ქარხანასთან მოეწყობა ნაბდის ქარხანა.—თბილისს გარეთ გაიხსნება საბითუმო მაღაზიები.—მექანიზაცია-ქმნილი ტყავის მრეწველობა წლიურად 1.404.229 მ. მოგებას მოგვცემს.

საქართველოს ტყავის ტრესტის წარმოებანი თავის საქმიანობას ამ ბოლო ხანებში თანდათან აფართოებენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათ არ ძალუძთ მაინც სავსებით დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნილება. ამიტომ დღის წესრიგში სდგას საკითხი ამ მოღვაწეობის გაძლიერებისა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ არსებულ წარმოებათა მექანიზაციით მათი საბოლოოდ მოწყობით და შეკეთებით. მაგ. პირველი ტყავის ქარხანაში განზრახულია მიმდინარე წელს მოხდეს ნაწილობრივი მექანიზაცია ამისათვის აუცილებელი მანქანები უკვე შესყიდულია გერმანიაში და გზაში იმყოფება.

ფეხსაცმელების ფაბრიკაში წელს გატარებული იქნება მსუბუქი ფეხსაცმელების დამზადების მექანიზაცია, რისთვისაც შესყიდულია უკვე მანქანები 200.000 მანეთისა და სპეციალური მასალები და ნაწილები 8.000 მანეთისა. გარდა ამისა დანიაში შეძენილია ამავე მიზნისათვის სპეციალური მასალები და ნაწილები უკვე არსებულ მანქანებისათვის—8.700 მანეთის რაოდენობით; ამათგან თბილისში უკვე მიღებულია ნაწილი დაკვეთილი მასალებისა.

განზრახულია მექანიზაცია ფეხსაცმელების დამამზადებელ და საქარგავ განყოფილებებისა, რომლებიც უმოქმედოთაა 1917 წლიდან; ამისათვისაც აუცილებელი ნაწილები შესყიდულია და გამოგზავნილი დანიიდან. ყველა ამ სამუშაოებს ასრულებს ტყავტრესტი თავის ხარჯით.

საბოლოოდ განზრახულია სრული მექანიზაციის გატარება მთელ ტყავის მრეწველობაში.

საამისოდ გამომუშავებულ 5 წლიანი გეგმის მიხედვით, რომელიც საქ. საგეგმო კომისიის მიერ უკვე დამტკიცებულია, პირველ ტყავის ქარხანასთან უნდა დაარსდეს ნაბდის ფაბრიკა და ამისათვის აშენდება ახალი შენობა. დაარსება ამ ახალი ფაბრიკისა ეხლა არსებულ ქარხანასთან ნაკლებ ხარჯებს გამოიწვევს.

ამასთანავე აშენდება ახალი შენობა პირველ ქარხნისათვის, ფეხსაცმელების ფაბრიკა გადატანილი იქნება ახალ შენობაში და მესამე ქარხანაში გატარდება მექანიზაცია.

წარმოებაში ასეთი მექანიზაციის ჩატარებით შრომის ნაყოფიერება საგრძნობლათ გადიდდება. წინასწარი გამოანგარიშებით ტყავის ქარხნებში იგი გადააჭარბებს ომის წინადროინდელ წარმოებას 35 პროცენტით და ფეხსაცმელების ფაბრიკაში 70 პროცენტით. გაიზრდება მომუშავეთა შტატიც.

ვინაიდან ყოველივე ამ გაუმჯობესებას ტყავტრესტი ვერ შესძლებს თავის საშუალებით, საგეგმო კომისიის აზრით საჭიროა მისთვის მიცემა სესხისა 831.926 მანეთის რაოდენობით და ამასთანავე საბანკო კრედიტების გახსნა.

სავაჭრო ოპერაციების გასაფართოებლათ, თანახმად გეგმისა გაიხსნება თბილისის გარეთ საბითუმო და ცალობრივი სავაჭროები —თითო ყოველ წლიურათ.

ხუთი წლის განმავლობაში ამგვარად გაუმჯობესებული ტყავის მრეწველობა მოიტანს 1.404,229 მანეთ მოგებას.

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

სოფლის მეურნეობისათვის

ა.-კ. უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა დაარსოს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დამამზადებელი სააქციონერო საზოგადოება.

დებულების მიღება.

ა.-კ. უმ. ეკონომიურმა საბჭომ მიიღო დებულების გეგმა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის შესახებ.

წესდების დამტკიცება.

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სააქციონერო საზ—ბა „ზაკკნიგას“ წესდება.

საქონლის შემოტანა ა.-კავკასიაში

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა 1925—26 წელში ამიერ-კავკასიაში საქონლის შემოტანის შემდეგი გეგმა:

პურის შემოტანა

სულ მომავალ წელში შემოტანილი იქნება 11,500 ათასი ფუთი პური. ამ რაოდენობიდან შემოტანილი იქნება 2 მილიონი ფუთი ხორბალი ბამბის მეურნეთათვის დასარიგებლად. ამას გარდა ბაქოს წისქვილებში დასაფქვავად და ამიერ-კავკასიის ზოგიერთ რაიონების საჭიროებისათვის შემოტანილი იქნება 5 ნახევარი მილიონი ფუთი ხორბალი.

პურის შემოტანა დაევალება სახელმწიფო ბანკს და „ხლებოპროდუქტს“; პირველმა უნდა შემოიტანოს 3 ნახევარი მილიონი და მეორემ 6 მილიონი ფუთი პური.

ადგილობრივი მოსავლიდან ამიერკავკასიაში უნდა დამზადდეს ნახევარი მილიონი ფუთი პური. ბამბის რაიონებში პურის შემოტანა უნდა მოხდეს ა.-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის და პურის დამზადებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებით.

ბამბის მეურნეებს მებამბეობის კომიტეტი პურს მიაწოდებს საკუთარი ძალების საშუალებით, ხოლო იმ ადგილებში, სადაც კოოპერაცია ღონიერია, პურის მიწოდების საქმეს ასრულებენ კოოპერატიული ორგანოები.

ფართლეულობის შემოტანა.

მომავალ წელში შემოტანილი იქნება 7 მილიონი მეტრი (900 ვაგონი) ფართლეული, ამ რაოდენობის სამ მეოთხედს შემოიტანს სრ. რუსეთის სინდიკატი, ხოლო დანარჩენი შემოზიდული იქნება საზღვარგარეთიდან.

ეკონომიური ქრონიკა

ჭიათურის მაღაროებში

ქონების მიღება

ჭიათურა, 17 აგვისტო. ხვალიდან სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს შავი ქვა“ შეუდგება ქონების მიღებას შავი ქვის სამრეწველოს განსაკუთრებულ სამმართველოსაგან.

შავი ქვის გატანა

ჭიათურა, 17 აგვისტო. „საქართველოს შავი ქვის“ საზოგადოების სატრანსპორტო კანტორას გააქვს ყოველ დღიურად 80 რონოდა შავი ქვა. ჭიათურაში მუშაობს 180 მტვირთავი, ფოთში—350 კაცი.

„ბაშტანი“

თელავი, 16 აგვისტო. საზამთროების და ნესვების გასაღების მიზნით, ყვარელის რაიონში შესდგა ამხანაგობა „ბაშტან“. რადგანაც კარგი მოსავალია, წელს გასაღება ძლიერ ძნელდება, ფუთიანი საზამთროები ფასობს ადგილობრივ 5—10 კაპ.

მიწათმოწყობა ჩვენში

გორის მაზრა

სამხრეთ-ოსეთის ცალკე ერთეულად გამოყოფამდე გორის მაზრა თავისი ტერიტორიით უდიდესი მაზრა იყო საქართველოში. ამჟამად ის შეიცავს 438.720 დესეტინას, სადაც შედის:

სამოსახლო	2.580	დესეტ.	რაც	უდრის	0.63	პრ.	მთელ	ტერიტორიისა
ბაღი	1.281	„	„	„	0.3	„	„	„
ვენახი	2.557	„	„	„	0.6	„	„	„
სახნავი სარწყავი	19.542	„	„	„	4.4	„	„	„
„ ურწყავი	146.506	„	„	„	33.4	„	„	„
სათიბი	1.734	„	„	„	0.4	„	„	„
ველბუჩქნარი (სასოფლო საბალახოები)	14.423	„	„	„	3.3	„	„	„
საძოვარი საზაფხულო	26.494	„	„	„	6.0	„	„	„
საძოვარი საზამთრო	7.799	„	„	„	1.8	„	„	„
ტყე	177.558	„	„	„	40.5	„	„	„
გამოუსადეგარი მიწები	38.245	„	„	„	8.7	„	„	„

მაზრაში 486 სოფელია, 33.353 კომლით და 172.738 მცხოვრებით ორივე სქესისა, ასე რომ სასოფლო-სამეურნეო მიწა (გარდა ტყისა და საძოვრებისა) კომლზე მოდის ორთაშუა 5.7 დეს. ხოლო სულზე 1.1 დეს. დაკანონებული საშუალო ნორმა, ყველა კატეგორიის მიწები რომ მივიღოთ მხედველობაში, უდრის კომლზე 6 დესეტინას, მაშასადამე მაზრას, ყველა თავის მცხოვრებთა სრულ ნორმამდე დასაკმაყოფილებლათ, აკლია 11.494 დესეტინა. მიწის ნაკვეთების რიცხვი 220.000-მდე აღწევს. სოფლებში 26 პროც. პატარა სოფლებია, ორთაშუა 12 კომლი თითოში, სხვილი სოფლები კი (250 კომლზე მეტი თითოში) 5.7 პროც. შეადგენენ. მიწა სოფლებს შორის მეტათ უთანასწოროდაა განაწილებული არის სოფლები, სადაც კომლზე ორთაშუა 1 დესეტინა ძლივს მოდის და იმავე დროს, განსაკუთრებულათ პატარა სოფლებში, კომლი რამდენიმე ათეულ დესეტინით სარგებლობს.

ეს მოკლე ცნობები უკვე თავის თავად ცხადჰყოფენ, თუ როგორი უნდა იქნეს გორის მაზრის მიწათმოწყობის გეგმა. მიწის სარგებლობა მთელს მაზრაში კომლეურია. აქ თემურ მიწის სარგებლობის ნიშანს ვერსად შეხვდებით. მიუხედავათ ამისა შესაძლებელი ხდება მიწათმოწყობის პირველი საფეხურის—სოფელთაშორისო მიწათმოწყობის გატარება. მრავალმიწებიანი სოფლებისაგან მიწის ჩამორთმევა და ჩამორთმეული მიწით დაკმაყოფილება მეზობელ უმიწაწყლო სოფლებისა აქ უკვე შეუგნია ხალხს, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ვერ შერიგებია სხვა მაზრიდან გადმოსახლების აზრს, თუმცა ეს მარტო გორის მაზრის სენი არ არის; სოფელს საერთოდ არ უყვარს, როცა მას ვინმეს შორიდან მოსულს ჩაუსახლებენ მეზობლათ.

ამ მთავარ მაზრასთან შეთანხმებით არის შედგენილი სამაზრო აღმასკომის მიერ მიმდინარე წლის მიწათმოწყობის გეგმა. მუშაობის მთავარი ძალა ტირიფონის ველის სოფლებშია დანაწილებული. მთელ მაზრაში 8 მიწისმზომელიდან 4 აქ მუშაობს. ველზე გარშემორტყმული და ზედ მოსახლე სოფლები გაყოფილია რაიონებათ და ორი რაიონის სოფელთაშორისო მიწათმოწყობის პროექტი უკვე შედგენილია. ამგვარად, გორის მაზრას მომავალ წელს ექნება 2.000 დესეტინამდე საუკეთესო მიწა საახალშენო ფონდათ. საჭიროა მხოლოდ ზომები, რომ ეს ფონდი წინდაწინ არ იქნეს არარათ ქცეული თავისი ნებით ჩამოსულების მიერ. სოფელთა შორის მიწათმოწყობის შემდეგ იწყება ყველაზე უფრო ძნელი სამუშაო ჩვენი მიწათმოწყობის საქმეში: სოფლიდან ჩამოჭრილ ნაკვეთში მოჰყვება მთელი რიგი მიწის ნაკვეთებისა, რომელთა პატრონს უნდა მიეცეს სამაგიერო, რადგან უამნაკვეთებოთ მათ მიწის ნორმა არ ექნებათ სრული. ამისათვის მიწისმზომელმა უნდა მოახდინოს სოფელზე დატოვებულ მიწების ყველა ცალკე ნაკვეთის გამიჯვნა და აზომვა, რათა ჩამოერთვას ნორმაზე მეტი მიწა, ვისაც ასეთი აღმოაჩნდება და ამ ჩამორთმეულ მიწით დააკმაყოფილოს ის, ვის მიწებიც ფონდში გადავიდა. ეს მეტის მეტათ ძნელი საქმეა, რომელზედაც არის დამოკიდებული მოსალოდნელი საახალშენო ფონდის ბედი.

მეორე საკითხი მიწათმოწყობისა გორის მაზრაში არის ე. წ. შერეული მეურნეობა. შერეული მეურნეობათ ითვლება ისეთი, სადაც მიწის დამუშავებას და მესაქონლეობას აქვს ადგილი ერთსა და იმავე ოჯახში. გორის მაზრის სამხრეთი ნაწილი, ყოფილი საციციანოს მთაგორიანი ადგილები, სულ ასეთი მეურნეობებით არის დაფარული. ასეთ სოფლებს ჯერ მიეზომება სამოსახლო და სახნავ-სათესი მიწები და შემდეგ ნორმის შესაბამად—საძოვრები, სათანადო პროპორციით. უმეტეს შემთხვევაში იმ საძოვრების რაოდენობა, რომელიც ასეთ მეურნეობებს უჭირავთ, ნორმას აღემატება და მიწათმომწყობი იძულებულია ჩამოჭრილი საძოვრები იმავე სოფელს დაუტოვოს იჯარით საერთო საფუძველზე. პირველ შეხედვით ასეთ ზომას უნდა გამოეწვია მიწის მუშაში უკმაყოფილება, მაგრამ იმის შეგნება, რომ ჩვენში ბევრია ისეთი რაიონები, სადაც სოფლის ხალხს ლუკმა პური ძლივს მოჰყავს თავის დასარჩენათ მიწის ნაკლებობის გამო, სპობს ყოველივე უკმაყოფილებას მიწის კანონის წინააღმდეგ და ხალხი მიხვდა, რომ მიწის კანონი დაწერილია ღარიბი ხალხის წელში გასამაგრებლათ და გასაღონიერებლათ.

რაც შეეხება მიწის რეფორმის შედეგებს, გორის მაზრა ცნობილია როგორც უკიდურესი ექსპერიმენტების მაზრა ამ სფეროში. აქ 1923 წელს მიწის რეფორმის დაკვრითი წესით გატარების დროს, მიწკომებმა მოინდომეს მთელი მიწების გათანასწორებით დაყოფა და, რადგან თემური მიწის სარგებლობა არ იყო, დაიწყეს მამა-პაპიდან დატოვებული ფასიანი მიწების ჩამორთმევა, რაც, დროზე რომ არ შეჩერებულიყო, ანარქიის ცეცხლში გახვევდა მთელ მაზრას. ასეთი მუშაობის შედეგი ეხლაც მაღლაჯუნასავით აწევს მაზრის ხელისუფლებას და საჩივრები უკანონოთ მიწის ჩამორთმევაზე ჯერ კიდევ ხშირია.

მაგრამ ერთხელ მიცემულ მიწას გლეხს ვერავინ წაართმევს და უმეტესათ ასეთი საჩივრები უშედეგოთ რჩება.

მიწის მზომელების სიმცირეს მაზრაში აღმასკომი ცდილობს ბოლო მოუღოს თავის ხარჯზე მიწისმზომელების მოწვევით, მაგრამ მაზრას სჭირია არა ნაკლებ 20—25 მიწის მზომლისა, ამდენის [illegible] კი თავის ხარჯზე არც ერთი სამაზრო ხელისუფლებას არ შეუძლია.

ვ. ნ—ძე.

კოოპერაცია

კოოპერატიული კრედიტი

საკავშირო კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილება აწარმოებს მხოლოდ კოოპერატიულ საკრედიტო ოპერაციებს მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მასშტაბით, გარდა აზერბეიჯანის რესპუბლიკისა. იგი აწვდის კრედიტებს ყველა სახის კოოპერატივებს, აწვდის მათ აგრეთვე თანხებს სასოფლო-სამეურნეო ნედლი მასალის დასამზადებელ ოპერაციებისათვის და საქონლის შესყიდვისათვის.

კრედიტის მიცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ შეუძლია ამა თუ იმ კოოპერატივს მისი გადახდა. პირველი აგვისტოსთვის ბანკს მიუცია კრედიტი ასი სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობისათვის. ჯამი გაცემულ კრედიტებისა ამ დროისათვის უდრის 1,912,439 მანეთს 18 კაპ, რომლიდანაც უმთავრესი ნაწილი გაცემულია ძირითად კოოპერატივებზე.

ამ უკანასკნელ დროში ბანკი სცდილობს, რაც შეიძლება შეამციროს კრედიტების მიცემა ცენტრალურ-კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის და ასეთები გადაიტანოს ადგილობრივ კოოპერატიულ ამხანაგობებზე.

სესხის გადახდის უნარიანობა ძირითად კოოპერატივებისა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, უნდა ითქვას, რომ მათი ძირითადი ამხანაგობანი ჯერ კიდევ ახალგაზრდანი არიან და განუვითარებელნი.

მომავალში, თანახმად მთავრობის დადგენილებისა გრძელვადიან სესხის მიცემის შესახებ, კოოპერატიული ბანკის აშუალებას მისცემს ძირითად კოოპერატიულ უჯრედებს მოსპოს თავისი ძველი დავალიანება.

სასოფლო მეურნეობა

მებაღეობის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დასავლეთ საქართველოს მებაღეობის გამოსაკვლევათ გაგზავნილი იყო მებაღეობის სპეციალისტი აგრონომი ამხ. ტ. კვარაცხელია, რომელმაც შემოიარა ზუგდიდის და სენაკის მაზრები.

მებაღეობის მდგომარეობის შესახებ ამ მაზრებში ამხ. კვარაცხელიამ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— სენაკის მაზრაში ნაათესების 60 პროც. შეადგენს სიმინდი, ზუგდიდის მაზრაში კი სიმინდის ნათესების სივრცის 25 პროცენტს.

მიმდინარე წელში ამ მაზრებში მოწყობილი იქნა ხეხილის სანერგე, რომლებიც კარგ მდგომარეობაში; ეს სანერგეები გლეხებს შორის ავრცელებენ ციტრუსის მცენარეების და ხეხილის ნერგებს.

ამას გარდა, სენაკის მაზრაში აბაშის და მარტვილის აგრო-პუნქტებთან მოწყობილია საჩვენებელი ნაკვეთები, რომლებიც აგრეთვე კარგ მდგომარეობაშია; ამ ნაკვეთებზე დათესილია სიმინდი, საქონლის საკვები ბალახი, ბამბა და სხვა მცენარეები; განზრახულია მომავალში ამ ნაკვეთების რიცხვის გადიდება.

მიმდინარე წლის იანვარში ზუგდიდში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი; უნდა ითქვას, რომ შვიდი თვის განმავლობაში ამ ტეხნიკუმმა დიდ შედეგებს მიაღწია. მას აქვს სიმინდის, თამბაქოს და საქონლის საკვები ბალახების ნათესები, აქვს აგრეთვე სანერგე და ყავს 10 სული საკუთარი ჯიშიანი საქონელი.

ამას გარდა ჭკადუაში (მიურატის ყოფ. მამული) დაარსებულია დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელსაც აქვს ციტრუსის მცენარეების ახალი ნათესები 5.000 დეს. მანძილზე.

ასეთივე სკოლა არსებობს ძველსენაკშიაც, მაგრამ თანხების უქონლობის გამო ის სათანადოთ ვერ მუშაობს; თამაკონის სკოლას აქვს მშვენიერი ხეხილის ბაღი და სანერგე, ხილის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს, მაგრამ ხილის საშრობი ფარდულის უქონლობის გამო ხილის შენახვა შეუძლებელი ხდება, მისი საჩქაროთ გატანა კი ძნელია, რადგან თამაკონი 30 ვერსით არის დაშორებული რკინის გზაზე.

სოფელ ნამუკოლუში (სენაკის მაზრა) მე შევნიშნე ერთი საინტერესო მოვლენა; აქ ნიადაგი მეტათ მწირია, დესეტინაზე მოდის დაახლოვებით 15 ფუთი სიმინდი. ამ ბოლო ხანებში გლეხებს სადღაც აღმოუჩენიათ ერთგვარი რუხის ფერი რბილი ქვა, რომელსაც ფქვავენ და მით ანოყიერებენ მიწას; ასეთი განოყიერების შემდეგ ეს მწირი ადგილები დესეტინაზე იძლევიან უკვე 120 ფუთამდე სიმინდს. ამ ქვის ქიმიური თვისებები ჯერ არ არის გამორკვეული; ანალიზის მოსახდენათ მე ის თან წამოვიღე თბილისში.

რაც შეეხება მოსავალს, უნდა ითქვას, რომ წალენჯიხის რაიონში კარგი პირი უჩანს თამბაქოს მოსავალს; საერთოდ მოსალოდნელია სიმინდის მეტათ კარგი მოსავალი, ხილის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იქნება, ვენახების კი—საშუალო.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ გლეხობის ლტოლვა გაერთიანებისკენ თანდათან ძლიერდება. ზუგდიდის და სენაკის მაზრებში მე მოვაწყვე მებაღეთა რამოდენიმე ამხანაგობა. ეხლა განზრახული მაქვს მებოსტნეთა ამხანაგობები მოვაწყო მუხიანის რაიონში.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა

(ივლისში)

(საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს მასალებიდან)

ამინდის დახასიათება

ივლისში საერთოდ მთელს საქართველოში თბილი ამინდები იყო. სიცივეები საგრძნობი იყო მხოლოდ სამხრეთ-ოსეთში და ახალქალაქის მაზრაში. ივლისის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ხშირ წვიმებს, ნიაღვარს, წყალდიდობას და სეტყვას. ხშირ წვიმებს ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში, ახალციხის და სიღნაღის მაზრებში, ხოლო დასავლეთ საქართველოში—ზუგდიდის, ოზურგეთის, შორაპნის მაზრებში და აჭარაში. სხვაგან წვიმები იშვიათი იყო. წყალდიდობა დაეტყო სიღნაღის, თელავის, ოზურგეთის, სენაკის მაზრებს და აჭარას. ნიაღვარი უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო დასავლეთ საქართველოში ნიაღვრისაგან დაზიანდა ოზურგეთის და სენაკის მაზრები და აჭარა. სეტყვა, გორის მაზრის გამოკვლევით, მოევლინა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და სამხრეთ ოსეთს, დასავლეთ საქართველოში კი სეტყვას ადგილი არ ჰქონია.

ამ სტიქიურმა მოვლენებმა ივლისში საგრძნობლად დააზიანა სოფლის მეურნეობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავათ მაღალი ტემპერატურისა, გვალვა რესპუბლიკის არც ერთი კუთხეს არ დასტყობია.

ნათესები

სიმინდის პირველი და მეორე გათოხნა ყველგან მოთავდა შუა ივლისისათვის, ბევრგან უფრო ადრე. ამინდი თოხნის დროს ხელშემწყობი იყო, გორის და შორაპნის მაზრების გამოკვლევით მუშა ხელის და ინვენტარის ნაკლებობა არსად არ ყოფილა შემჩნეული.

შემოდგომის ხორბალის და ქერის აკრება ივლისში არ დამთავრებულა ახალქალაქის, ახალციხის და დუშეთის მაზრებში. აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ მაზრებში კი აკრეფა 15—20 ივლისამდე დამთავრდა. სადაც ამინდი ხელის შემწყობი იყო, იქ მოსავალი საერთოდ საშუალოა—დესეტინაზე საშუალოთ მოვა 40—60 ფუთი.

მევენახეობა

მევენახეობის მდგომარეობა ივლისში შემდეგნაირად ხასიათდება: საშუალოზე კარგს გვიჩვენებს სიღნაღის, თელავის, ლეჩხუმის და შორაპნის მაზრები. დანარჩენი მაზრები კი საშუალო. ცუდ მდგომარეობაშია მევენახეობა დუშეთის მაზრაში და სამხრეთ-ოსეთში. აქ ლაპარაკია მხოლოდ ზამთრის ყინვებისაგან გადარჩენილ ვენახებზე, ავათმყოფობა—მავნებლები საკმაოთ იყო გავრცელებული, მიუხედავათ იმისა, რომ მევენახეების უმრავლესობა უზრუნველყოფილი იყო საწამლი მასალით. საწამლი მასალების ნაკლებობა ეტყობოდა გორის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებს და აჭარას.

მეთამბაქოება

მეთამბაქოობის მდგომარეობა აფხაზეთში ივლისის განმავლობაში გაუმჯობესდა 0,5 ნიშნით. ივლისში თამბაქო გაითოხნა ორჯერ, ზოგიერთ მაზრებში კი სამჯერ. ამინდი გათოხნის დროს იყო საშუალო და ნაწილობრივ ხელის შემწყობიც კი. მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო ინვენტარით და მუშა ხელით.

მებამბეობა

ივლისის შუა რიცხვებში ბამბის პირველი და მეორე გათოხნა მოთავდა. ინვენტარის და მუშა ხელის სიძვირეს ჰქონია ადგილი.

საერთოდ კი ბამბის მდგომარეობა ივლისში იგივე იყო, რაც წინა თვეებში. პირველ აგვისტოსთვის ის ხასიათდებოდა 3,0 ნიშნით.

ხილის ბაღები

ხილის ბაღების მდგომარეობა ივლისში მთელ რესპუბლიკაში საშუალო იყო. საშუალოზე ცუდ მდგომარეობაშია ახალციხის, სიღნაღის, ზუგდიდის და სენაკის მაზრები და სამხრეთ ოსეთი. გაზაფხულის მოყინვამ, სეტყვამ და ქარებმა საგრძნობი ზიანი მიაყენა ხეხილის ბაღებს. მოსავლის აკრეფა დაიწყო მაისში და გრძელდებოდა ივლისშიაც მოსავალი საერთოდ საშუალოზე ნაკლები იქნება.

სათიბები

თიბვა ბევრ მაზრებში უკვე დამთავრებულია. თიბვის დროს ამინდი ხელის შემწყობი იყო. განსაკუთრებით კარგ მოსავალს იძლევა სარწყავი სათიბები. თბილისის მაზრაში ერთ დესეტინაზე მოვიდა საშუალოდ 200 ფუთი თივა, დანარჩენ მაზრებში კი მოსავალი საშუალოდ 50—80 ფუთს უდრის. სეტყვამ ახალქალაქის მაზრაში დააზიანა დაახლოვებით 850 დესეტინა სათიბი და საძოვრები.

მესაქონლეობა

ივლისში საქონელი საზაფხულო და სოფლის საძოვრებზე სავსებით უზრუნველყოფილი იყო საკვებით. საქონლის მასიურ გაყიდვას არსად არ ჰქონია ადგილი. ავადმყოფობა ყველგან მძვინვარებდა, სენაკის მაზრის გამოკლებით; გავრცელებული იყო ჭირი, ციმბირის წყლული, სეპტიცემია და სხვა.

საკავშირო ავტო გადარბენა

დეპეშით მიღებული ცნობებით გუშინ დაიწყო ავტო-გადარბენა ლენინგრად—თბილისი. გადარბენის მონაწილეთა პატივსაცემად 17 აგვისტოს ლენინგრადში გაიმართა დიდი ბანკეტი, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ გადარბენის მონაწილენი, რომლებიც ჩამოვიდნენ გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან და სხვა ქვეყნებიდან.

18 აგვისტოს ურიცკის მოედანზე გაიმართა გადარბენაში მონაწილე ავტომობილების აღლუმი. 16 აგვისტოსათვის ლენინგრადში სულ ჩამოვიდა საზღვარ-გარეთელი ფირმების 65 მსუბუქი და 45 საბარგო ავტომობილი. გადარბენაში მონაწილეობას იღებს ცნობილი მემანქანე ავტომობილისტი ქალი სტინესი, ცნობილ ჰუგო სტინესის ძმისწული.

ლენინგრადიდან გამოსვლის წინ მანქანები დაიყო რამდენიმე ჯგუფათ: თვითეულ ჯგუფს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, ამასთანავე თვითეულ მანქანას მოყვება კონტროლიორი, რომელიც გზაში აღნიშნავს მანქანის ტეხნიკურ და საექსპლოატაციო ღირსებებს და ნაკლს.

საკავშირო ავტო-გადარბენის ხელის შემწყობ ამიერ-კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ჯორჯაძემ ჩვენს თანამშრომელს გადასცა უკანასკნელი ცნობები ავტო-გადარბენის შესახებ.

— უკანასკნელათ მიღებულ ცნობების თანახმად, მანქანები ლენინგრადიდან გამოვიდნენ 18 აგვისტოს. თბილისში მანქანები იქნებიან აგვისტოს ბოლო რიცხვებში. ამის გამო თბილისის საეტაპო პუნქტი უკვე შეუდგა პარკის, ფინიშის და სტარტის მოწყობას საქართველოს სამხედრო გზის მე-2 ვერსტზე.

პარკი მოწყობილი იქნება მე-21 ქვეითა სკოლის ეზოში. აქვე მოეწყობა დამრიგებელი სადგური ჩამოსული მანქანებისათვის, გაყვანილი იქნება წყალსადენი და დაწესებული იქნება აგრეთვე ცეცხლისმქრობელ რაზმელების მუდმივი მორიგეობა. თბილისში ჩამოსვლისას მანქანები ფინიშიდან გაივლიან რუსთაველის პროსპექტზე, ბარიატინსკის ქუჩაზე და პლეხანოვის პროსპექტით გაემართებიან პარკისკენ.

პარკში მანქანებს დაათვალიერებს ტეხნიკური კომისია, რის შემდეგაც ისინი დაბეჭდილი იქნება უკანვე გასაგზავნათ.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება დიდი რემონტი ანდა მანქანების ნაწილების შეცვლა, „ავტოპრომტორგი“ შეუკეთებელ მანქანებს დაუთმობს თავის გარაჟს.

წვრილი რემონტი მოხდენილი იქნება თვითონ პარკში, სადაც მოეწყობა მცირე ავტო-სახელოსნო.

გუშინ თბილისიდან გაემგზავრა განსაკუთრებული კომისია საქართველოს სამხედრო გზაზე გამაფრთხილებელი ნიშნების დასადგმელათ.

მანქანების გავლის დღეს, უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილი იქნება გზის დაცვა.

სტარტთან და ფინიშთან კი მოწყობილი იქნება საექიმო პუნქტები, სადაც საჭიროების მიხედვით საექიმო დახმარებას გაუწევენ გადარბენის მონაწილეთ.

გადარბენის ხელის შემწყობ თბილისის კომიტეტს დავალებული აქვს მანქანების მიღება კავკავში, სადაც გადარბენის მონაწილენი ღამეს გაათევენ.

თბილისში გადარბენის მონაწილენი დარჩებიან ორი დღე.

მანქანების საქართველოს სამხედრო გზაზე გავლის დროს, საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის მიერ გადაღებული იქნება გადარბენის ცალკე მომენტები.

გადარბენის მონაწილენი, რიცხვით 300 კაცამდე, გაჩერდებიან სასტუმრო „ორიანტში“, „სასახლის ნომრებში“ და „კავკასიაში“. მათი მოგზაურობა ქალაქის ფარგლებში იწარმოებს „ავტოპრომტორგის“ მანქანებზე.

დასასრულ ამხ. ჯორჯაძემ განაცხადა, რომ ამ დღეებში მიღებული იქნება ცნობა გამოსული მანქანების ნამდვილი რაოდენობის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისამდე მოაღწევს 70 მანქანა. მარტო ამერიკამ გამოგზავნა ახალი ტიპის 16 მანქანა, რომელთა უმეტესობა ჯერ არ ყოფილა საბჭოთა კავშირში.

მანქანების ჩამოსვლის მეორე დღეს ხელის შემწყობ კომიტეტს განზრახული აქვს გადარბენის მონაწილეთათვის გამართოს ბანკეტი.

შ. ა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

თბილისის მაზრას გარდა გადასახადის გასტუმრება დაიწყო თელავის და სიღნაღის მაზრაში.—გლეხობა კმაყოფილია მთავრობის მიერ დაწესებულ შეღავათებით.—გლეხობა გამოსთქვამს გადასახადის ერთ ვადაში გადახდის სურვილს.—სოფ. ვეჯინისა და მაჩხაანის გლეხების დადგენილება.

ამ ჟამად თითქმის ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში შეუდგენ შეწერითი ფურცლების ჩაბარებას გადამხდელებისადმი და რამდენიმე მაზრაში გლეხობა უკვე შეუდგა გადასახადის გასტუმრებას.

17 ამა აგვისტოს საგადასახადო განყოფილებას მოუვიდა ცნობები თელავის და სიღნაღის მაზრებიდან რომ ამ მაზრების გლეხობამ უკვე იწყო გადასახადის შეტანა სალაროში და რომ გლეხობა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს მთავრობის გადაწყვეტილებისა გამო ამ გადასახადის შემცირების შესახებ, რაც მისცემს მათ საშუალებას მოაღონიერონ თავისი მეურნეობა.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ გლეხობა გამოსთქვამს სურვილს შეიტანოს ეს გადასახადი ერთ ვადაში.

საგადასახადო განყოფილებაში მოსულია უკვე ორი დადგენილება სიღნაღის მაზრის ორი სოფლისა—მაჩხაანის და ვეჯინისა, რომლის შინაარსი იმდენად დამახასიათებელია, რომ საჭიროა მათი მოყვანა აქ. შინაარსი მათი დაახლოვებით ერთი და იგივეა, ამისათვის მოგვყავს მარტო სოფელ ვეჯინის საერთო კრების დადგენილება.

მოისმინა რა მოხსენება ამხ. გ. მოწონელიძის (სიღნაღის მაზრაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე) სასოფლო - სამეურნეო გადასახადზე, სოფელ ვეჯინის გლეხობა, ითვალისწინებს რა გასულ წლებთან შედარებით მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საგრძნობლად შემცირებას, გულწრფელ მადლობას უძღვნის მთავრობას, რის დასამტკიცებლად ნებას სთხოვს გადასახადის ფურცლის დაურიგებლად სათანადო გადასახადის შემოტანისას და გამოსთქვამს იმედს, რომ ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება არის მშრომელ გლეხკაცობის ინტერესის დამცველი—ჩვენც ვიძლევით პირობას პირველ გამოძახისთანავე, რითაც საჭირო იქნება, შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობა მთავრობის წინაშე, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის პოლიტიკურ და ეკონომიურ განმტკიცებას“.

ამ დადგენილებასთან ერთად გამოგზავნილია საგადასახადო განყოფილებაში ცალკე მოხსენება ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგობისა, საიდანაც სჩანს ასეთივე განწყობილება დანარჩენი სოფლების სამეურნეო გადასახადისადმი.

ეჭვს გარეშეა, თუ კი ჩვენი ადგილობრივი ამხანაგები გამოიჩენენ სათანადო ენერგიას და ჯეროვანი ყურადღებას სამეურნეო გადასახადისადმი ასეთ პირობებში, უკანასკნელი ჩატარდება საქართველოში მიმდინარე წლის განმავლობაში სრულიად უმტკივნეულოდ და დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე.

ვ. ჯ-

დაქირავებული შრომის გამოყენება სოფლის მეურნეობაში

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ შეიმუშავა დადგენილება საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ, რომელიც ვრცელდება ყველა იმ მშრომელი გლეხების მეურნეობაზე და აგრეთვე იჯარით აღებულ მეურნეობაზე, სადაც დაქირავებული შრომის გამოყენება ხდება გლეხის ოჯახის წევრების დასახმარებლათ, განურჩევლათ იმისა, თუ რანაირ სამუშაოზე არის დაქირავებული ეს მუშა-ხელი, ან რა ვადით არის დაქირავებული.

სამრეწველო ხასიათის საგლეხო მეურნეობებზე ვრცელდება ის დადგენილება, რომელიც შეეხება შრომის პირობებს საბჭოთა მეურნეობებში.

ამ დადგენილების ძალით მოჯამაგირე უშუალოდ ჰყავს სამუშაოდ თვითონ დამქირავებელს; ადგილობრივ ორგანოებს ეკრძალებათ სავალდებულო დაქირავების დაწესება. დამქირავებელი ვალდებული არ არის მოჯამაგირის დაქირავებისათვის ნებართვა მიიღოს რომელიმე ორგანოსაგან.

ამასთანავე მოჯამაგირის დაქირავების პირობებზე თვითონ დაქირავებული და მოჯამაგირე უნდა მორიგდენ, როგორც სურთ და უნდა დასწერონ წერილობითი პირობა. წერილობითი პირობას დამქირავებელთან ან თვითონ მოჯამაგირე სდებს ანდა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი დასდებს მას მოჯამაგირის სახელით და მის მაგივრადაც მოაწერს ხელს.

დაქირავების პირობის (შრომის ხელშეკრულების) ერთ წელზე მეტი ვადით დადება არ შეიძლება.

არ შეიძლება აგრეთვე ისეთი დაქირავების პირობის დადება, რომლის შესრულება დამქირავებელმა და მოჯამაგირემ ამ პირობის დადებიდან ერთი წლის ან მეტი ხნის გასვლის შემდეგ უნდა დაიწყონ.

ამ დადგენილების ძალით გაგრძელებული სამუშაო დღე (ე. ი. რვა საათზე მეტი საშუალო დღე) დაშვებული იქნება დამქირავებელის და მოჯამაგირის ერთმანეთ შორის შეთანხმებით, იმის მიხედვით, თუ როგორი სამუშაოები არსებობს სოფლის მეურნეობაში წლის ამა თუ იმ დროს.

სოფლის მოჯამაგირის სამუშაო ქირა წესდება დამქირავებელსა და მოჯამაგირის შორის დადებული პირობით, მხოლოდ ეს ქირა არ უნდა იყოს იმ უმცირეს ხელფასზე ნაკლები, რომელსაც შრომის სახალხო კომისარიატი აწესებს. დამქირავებელს არ შეუძლია თავისი ძალით დაადოს მოჯამაგირეს რაიმე ჯარიმა ფულით.

დამქირავებელი მოვალეა შეასრულოს დაქირავების შეთანხმებაში მოხსენებული ყველა პირობები, მისცეს მოჯამაგირეს შეპირებული ვადებში სამუშაო ქირა, ხელშეკრულებებით დაწესებული ტანისამოსი, მისცეს აგრეთვე ბინა საცხოვრებლათ და ისეთივე ღირსების საჭმელსასმელი, როგორსაც თვითონ ხმარობს თავის ოჯახში.

სოფლის მოჯამაგირე თავის მხრივ ვალდებულია შეასრულოს სამუშაო, რომელზედაც ის არის დაქირავებული, ფრთხილათ მოეპყრას საქონელს და სამეურნეო იარაღს და არ მიაყენოს რაიმე ზიანი დამქირავებლის ქონებას.

დამქირავებელიდან წასვლის დროს მოჯამაგირე ვალდებულია ჩააბაროს დამქირავებელს ის ქონება, რომელიც მას მინდობილი ჰქონდა.

საზოგადო სამუშაოები თბილისში

საზოგადო სამუშაოები თბილისში დაიწყო 9 ივნისიდან, როდესაც ალმასკომსა და შრომის კომისარიატს შორის მოხდა შეთანხმება თანხების გამოძებნის საკითხში. გამოირკვა, რომ ორთავე დაწესებულებას შეუძლიათ გაიღოს ამ საქმისათვის 101.000 მ.

დღეს ასეთი მუშაობა სწარმოებს საბურთალოში და ნაძალადევში; მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ვერის ხიდიდან გზატკეცილის აშენებლად, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე და სხვა ადგილებში წყალსადენის მილების გასაყვანად და მტკვრის მარჯვენა ტოტის გასამაგრებლად მადათოვის კუნძულთან.

განზრახულია აგრეთვე საბურთალოს ქაობების ამოშრობა, ქუჩების შეკეთება და ნიაღვრებთან საბრძოლველად—თხრილების გაყვანა.

ამ სამუშაოთაგან სრულდება 11 ქუჩის შეკეთება და თხრილების გაყვანა, საერთოდ სრულდება სამუშაოთა 75 პროცენტი.

ნაძალადევში პირველ რიგში კეთდება 8 ქუჩა. მუშაობის 80 პროცენტი უკვე შესრულებულია. რაც შეეხება ორმოების ამოვსებას, აქაც მუშაობა შესრულებულია 70 პროცენტამდე.

ვერის ხიდიდან გზა-ტკეცილის გასაყვან სამუშაოდან შესრულებულია მუშაობის 85 პროცენტი და დამზადებულია 100 კუბ. საქნმდე ქვა, 60 კუბ. საქნ. სილა და დაწყებულია აშენება მისაყრდნობ კედლისა—საქ. სამხედრო გზის შეერთებასთან და მდ. ვერის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ.

ყველა აღნიშნულ სამუშაოებზე 10 აგვისტომდე დახარჯულია 60.000 მანეთი, ანუ 60 პროცენტი მთელი თანხისა.

ა. | წ. 9 ივნისიდან 10 აგვისტომდე საზოგადო სამუშაოებზე მუშაობდა საერთოდ 1406 კაცი, ამაში შედიან როგორც ტეხნიკური მომუშავენი, ისე მეურმე გლეხები.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

17 აგვისტოს შესდგა აღმასკომის პლენუმის სხდომა.

კოოპერაციის მდგომარეობა თბილისის მაზრაში

პლენუმის დღის წესრიგში იდგა საკითხი კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ თბილისის მაზრაში.

მოხსენება გააკეთა ცეკავშირის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ქებურიამ.

მოხსენებიდან გამოირკვა რომ, მაზრაში არსებობს 10 მთლ. სამომხმ. კოოპერატივი, 32 სავაჭრო პუნქტი და 13 საწარმოო პუნქტი.

ამ კოოპერატივებში ითვლება 4.122 წევრი. საპაიო თანხის შემოტანა იზრდება: 1 იანვრისთვის ყველა კოოპერატივების საპაიო თანხა უდრიდა 8000 მანეთს, ეხლა კი უდრის 12.000 მანეთს.

ვისგან იძენენ საქონელს

კოოპერატივები საქონლის—35 პროც.-ს იძენენ ცეკავშირისაგან. დანარჩენს სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებისაგან და უმნიშვნელო ნაწილს კერძო ბაზარზე.

მთელი საქონლის ბრუნვა 7 თვის განმავლობაში ყველა 10 კოოპერატივში უდრის 506.201 მანეთს. საერთოდ მათ ამ ხნის განმავლობაში შეუძენიათ საქონელი 81000 მანეთის და გაუყიდიათ—477,000 მანეთის.

ინსტრუქტორების გაგზავნა

ცეკავშირს მაზრის კოოპერატივებში გაუგზავნიათ 7 თვის განმავლობაში თავის ინსტრუქტორები სავალდებულო რევიზიისთვის და ამისთვის მოუნდომებიათ სულ 120 დღე.

კამათი

მოხსენების ირგვლივ გამართულმა კამათმა გამოარკვია მრავალი დეფექტები მაზრის კოოპერატივებისა, რასაც კრებამ მიაქცია ყურადღება და დაავალა პრეზიდიუმს საჭირო ზომების მიღება.

ქრონიკა

— **ბავშვთა და დედათა სახლში.** თბ. აღმასკომმა დაავალა ქ. ჯანმრთელობის განყოფილებას ბავშვთა მაწოვებელ ქალებს გაუიდოს საკვები ულუფა.

— **ნაგვის საწვავი მანქანა.** თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას შეიძინოს და ალექსანდრეს საავადმყოფოში დასდგას ნაგვის საწვავი მანქანა.

— **მუშათა ახალი სახლი.** თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა ტრამვაის დირექტორს, შეიმუშაოს გეგმა ტრამვაის მუშათათვის ახალი სახლის ასაგებათ 100,000 ღირებულების ფარგლებში.

— თბ. აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს 25,000 მან. ხორცით ვაჭრობის საზ—ბის აქციები.

— **თბ. ელსადგურების** აბონენტების რიცხვი 1-ლ აგვისტოსათვის აღწევდა 9,358.

— **წყალთ აღრიცხვა.** ზემო-ავჭალიდან მოწოდებულ წყლის რაოდენობიდან ივლისში ქალაქმა დახარჯა 34,102,105 ვედრო წყალი, 3,200,000 ვედროთი მეტი ივნისთან შედარებით.

— **საბინაო აღმშენებლობის დამხმარე** კომიტეტმა ქუთაისში მუშათა სახლების ასაგებათ გადასდო 10,000 მან.

— **გლეხკომების გამოკვლევა.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა დაამთავრა გლეხკომების გამოკვლევა შორაპნისა და თელავის მაზრებში.

— **რემედასის შესახებ.** გამოვიდა დეპეშინსკის წიგნი ქართულ ენაზე „მსოფლიო რევოლიუცია და რემედასის მნიშვნელობა“.

— **დაიბეჭდა** და ახლო ხანში დარიგდება ჟურნალი „რემედასი“-ს მე-7 და მე-8 ნომრები.

— **დასასვენებელ სახლების** საჭიროებისათვის სოც. დაზღვევის სამმართველომ დამატებით გადასდო 35,240 მ.

— **ნახშირი თბილისისათვის.** საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი შეუდგა ყველა რაიონებში ხე-ტყის ნაცვენებისაგან ნახშირის დამზადებას თბილისის საჭიროებისათვის.

— საკავშირო ცაკის დადგენილების თანახმად საქ. მუშათა საბინაო აშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაადგინა საბინაო მიხობრივ გადასახადისაგან აკრეფილ თანხის მეხუთედი გადარიცხოს საკავშირო ფონდში.

— **ტყავის მრეწველობაში** ჩაბმული მუშები ამ ჟამად დღეში საშუალოდ ღებულობენ 1 მანეთს 10 კაპეიკს.

— **ჭიათურის საავადმყოფოს** და საერთოდ საექიმო დახმარების საკითხების ადგილობრივად გამოსარკვევად ჭიათურაში იგზავნებიან სოც. დაზღვევის სამმართველოს და ჯანსახკომის წარმომადგენელნი.

— **ავიოქიმის კუთხე.** მედსანშრომის მეოთხე ადგილკომთან არსებული ავიოქიმის უჯრედი ახლო ხანში სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან აწყობს ავიოქიმიის კუთხეს.

— **უმუშევართა დაზღვევა.** უმუშევართა დამზღვევი განყოფილება 25 აგვისტოს გასცემს ამავე თვის დახმარებას უმუშევრებზე.

— **დაზღვეულთა რიცხვი.** 1 აგვისტოსათვის თბ. დამზღვევ სალაროს ყავდა 38,041 წევრი.

— **ქვრივ-ობლები.** ამ ჟამად თბ. დამზღვევ სალაროდან დახმარებას იღებს 329 პენსიონერი ქვრივ-ობოლი.

— **ფ.-ტელეგრაფის** სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ რადიოს მოყვარულთა საზოგადოებებს.

ხელოვნება

— **ხაზოვხულო კლუბი „მბეჭდავი“.** დღეს სიმფონიური კონცერტი დამსახურებულ მსახიობ სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** დღეს კინო-სეანსი „მაცისტი დასასვენებლათ“.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ვ. კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ მე-19 საუკ. ნაწ. 1. წიგნი ფასობს 2 მან., სუფთად არის გამოცემული და შეიცავს 232 გვერდს.

საბჭოთა სასამართლო

ექიმბაშ მახვილაძის საქმე

20 აგვისტოს საოლქო სასამართლოს დარბაზში გაირჩევა საქმე ექიმბაშ მახვილაძისა, რომელსაც ბრალი ედება თაღლითობაში (мошенничество).

საქმე ირჩევა პირველი რაიონის სახალხო სასამართლოში ამხ. გრიგურაშვილის თავმჯდომარეობით.

ბრალდებულ მახვილაძეს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი მ. ტატიშვილი.

შემთხვევები

— **შეპყრობა.** 17 აგვისტოს შეიპყრეს აკოფ ართავაზოვი, ჯაბირ გოხალ ოღლი და ჰუსეინ აბდულ ოღლი, რომლებსაც ბრალდებათ ერმილე ბოქორიშვილისათვის რკინის რიგში 13 მანეთი მოპარვა

— **უბედური შემთხვევა.** 8 აგვისტოს სართიჭალის ბოლოსთან „ბალბიანზე“ მოდიოდენ რიგები ღვინიან კასრებით. ერთი მეურმეთაგანი სოსია ხეთისოშვილი, როდესაც ის სცდილობდა შეხტომოდა თავის ურემს, მოყვა ურემს ქვეშ, რის დროსაც მას გადაუარეს ხარებმა. სასიკვდილოთ დაშავებულს საექიმო დახმარება აღმოუჩინა სართიჭალაში.

— **ჯიბგირობა.** 17 აგვ. თათრის მოედანზე გიორგი მელიაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე. ჯიბგირი ალი კული თეიმურ ოღლი შეიპყრეს.

— ამავე დღეს დღის 1 ს. გუსეინ აასალ ოღლის ბაზრის მოედანზე ამოაცალეს ფული და საბუთები. ჯიბგირი გეურქა ქობანიანცი შეიპყრეს.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 17 აგვ. რეუტოვის ქ. № 2, სახლში არ ყოფნის დროს გაქურდეს ელენე გოგიშვილის ბინა. წაიღეს 115 მან.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 157, გაქურდეს ელისაბედ თედორეს ასულის მოიკოვას ბინა.

— ამავე დღეს საღამოს ანდრიევის ქ. № 81, სამსონ ირაკლის ძე ქვარონანს დუქანში მოპარეს სხვადასხვა ნივთები. ქურდი პეტრე ბრუშინინი შეიპყრეს.

— ამავე დღეს საღამოს ლორის-მელიქოვის ქ. № 22, გაქურდეს არუთინ გრიქოროვის ბინა.

— **ქ უ რ დ ი ქ ა ლ ი.** 15 აგვისტოს დამით საბჭოთა ქ. № 2 სონა ტომბასიანცმა გაქურდა მეზობელ გეურქ ოხიპოვი და მიიმალა.

ტირაჟი—20.204

მუშათა ცხოვრება

ბნელი ღამე ღამე, უმთვარო...

ბნელი ღამე; ღამე უმთვარო,
ირგვლივ ყოველი გაყუჩებულა;
აღარ ხმაურობს ღედა-ქალაქი,
მშრომელთ უბნებიც მიწყნარებულა.

დაღლილ-დაქანცულ შრომის შვილებსა
სძინავთ წყნარად და უზრუნველადა,
რომ დილით ადრე შეუდგნენ შრომას
კოლექტიურად, ყველა ერთადა.

როს მზე ამოვა, გამონათებს,
ქარხანათ კარნი გაიღებიან,
სამუშაოზე მოსაწოდებლად
საყვირნი მძლავრად აყვირდებიან:

—„აღსდექი მუშავ, გეყოფა ძილი,
ამუშავე გრდემლი და კვერი
და მძლავრი ცემით შენს გარეშემო
დააყენევი რკინისა მტვერი!...

რკინასთან ერთად შენ ჩვენს ბედს სჭედავ,
თვალი გვიჭირავს მომავალისკენ,
იმაში არის ბედნიერება,
მაგითი მივალთ აღთქმის ქვეყნისკენ!.“

მუშა ნიკო ახლამაზაშვილი.

მუშათა კულტურის კიდევ ერთი კერა.

საგარეჯოსა და მის მახლობელ სადგურების მუშა - მოსამსახურეებს კარგა ხანია ჰქონდათ სურვილი შეექმნათ თავისი საკუთარი კულტურული კერა—კლუბის სახით. ამისათვის მათ არ დაუზოგავთ თავ. სი ცდა და ენერგია. კლუბი აშენებულია ყველა ადგილობრივი მუშაკების მასიური მონაწილეობით.

კლუბი მართალია თავისი მოცულობით ვერავის გააკვირვებს, მაგრამ დაწყება საქმის ისეთია, რომ იგი მომავალში უფრო გაფართოვდება.

კლუბის კედლებზე წარწერები, რევოლიუციონური ლოზუნგები, ბელადების სურათები და პატარა, მაგრამ მხატვრულად მოწყობილი სცენა ცხადჰყოფენ იმას, რომ ერთგული ხელები ზრუნავდენ მისთვის; ამასავე ამტკიცებს პატარა ბაღი შადრევანით კლუბის ეზოში.

კლუბის საზეიმო გახსნამ, რომელიც მოხდა 15 აგვისტოს, დიდ-ძალი მუშები და გლეხები მოიკრიბა. ეზოში უკრავდა თბილისიდან მოწვეული სასულე ორკესტრი და ზურნა. გამართული იყო ცეკვა-თამაში.

დადგა სასურველი წუთი, კლუბის საზეიმო გახსნისა, რომელიც აცნობა დამსწრეთ სადგურ საგარეჯოს უფროსმა, -ამხანაგებო საგარეჯოს პატარა, კოპწია მუშათა კლუბს გახსნილად ვაცხადებთ, ამ კლუბს ჩვენი საყვარელი ბელადის და დარაჯის კალინინის სახელი ჰქვია ამბობს ის. კლუბის გახსნას მიესალმა ადგილობრივი პარტიული, პროფესიონალური და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები.

ოფიციალურ ნაწილის შემდეგ საგარეჯოს დრამწრის ძალებით დადგმული იქნა ა. ყაზბეგის „ელონორა“ და კომიკური პიესა „წითელი ფერი“.

სასურველი იქნება, რომ მომავალში კლუბის ადმინისტრაციამ მეტ ყურადღებას მიაქცევდეს პიესათა შერჩევას.

დასასრულ გაიმართა ვახშამი, რომელმაც დილამდე გასტანა, დამსწრე მუშები მხურვალეთ ულოცავდენ ერთ მეორეს კლუბის გახსნას.

ძ.

სასტიკად მოგვატყუეს

(სისხლის სამართლის მილიციის და საგანგებო კომისიის საყურადღებოდ.)

ამ ერთი თვის წინად ა | კ. რკინის გზების დაწესებულებებს ესტუმრა ორი პიროვნება, რომლებმაც ადგილკომს და მუშა-მოსამსახურეებს თვისი მანდატებით გააცნეს თავი მოსკოვის ჯანმრთელობის კომისარიატის რწმუნებულებათ, თან კი მოტანილი ჰქონდათ პატარა ყუთები ყოველგვარი წამლეულებით. გააკრეს განცხადება რომ თითო ყუთი 2 მ. 50 კ. ღირს—ოცდა ხუთი თავი წამლით და რომ პირველად 25 კაპ. საჭიროა შესატანად, დანარჩენი კი სამი თვის ვადაში ნელ ნელი გადახდით. აუარებელი მუშა-მოსამსახურეები მიაწყდნენ ჩასაწერად შეკითხვაზე თუ როდის მოგვცემდენ წამლებს—გვიპასუხებდენ დეპეშას გავაგზავნით მოსკოვში ხვალ და ხუთ დღეში მიიღებთო“. გავიდა თვეზე მეტიც და არავინ გამოცხადებულა, ადგილკომმა როდესაც შეკითხვა მისცა მოსკოვში, პასუხი ასეთი იყო. რომ იგინი განთქმული აფერისტები ყოფილან.

ასე მოგვატყუეს ჩვენი წვლილი ფულებიდან ასობით თანხა მობოჭეს.

სისხლის სამართლის მილიციავ, პროკურატურავ, თქვენგან ველით შველას.

მუშკორი. ტაბაკიძელი.

ლიტ-გამის შრომის კოლექტივში

სასახლის ქუჩა № 5-ზე მეორე სართულზე არის ლიტერატურის გამავრცელებელი დაწესებულება „შრომის კოლექტივის“ სახელწოდებით, რომელიც აერთიანებს ლიტერატურის გამავრცელებელ აგენტებს.

მიზანი ამ კოლექტივისა დიდია: იგი ეწევა ფართო აგიტაციას მშრომელ მასაში, რითაც ხელს უწყობს ლიტერატურის გავრცელებას კულტურულათ ჩამორჩენილი მუშათა შორის.

მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი მისი აგენტები ფართო აგიტაციას ეწევიან თავისი ჯიბის გასუქების მიზნით და ხარბად იტაცებენ თუ სადმე მოახელეს მუშათა ფულს. სჭამენ ჟურნალ-გაზეთების ფულს და ამით სახელს უტეხენ მუშათა თვალში გამომცემლობებს.

მუშათა ფულების შეჭმა, ყალბი ქვითარების გაცემით და სხვა ხრიკებით მტკიცეთ გაატარა ცხოვრებაში აგენტ ბაბაევმა და ლიტ-გამის გამგეობა კი სდუმს.

რაშია საქმე?

ი. თევდორაძე.

„კომუნისტი“-ს მუშკორებში

„კომუნისტი“-ს რედაქციის ხელმძღვანელობით დაიწყო გაზეთ „კომუნისტის“ მუშკორთა საოღქციო მუშაობისათვის პრაქტიკული მომზადება. მუშკორები დიდი გულმოდგინეობით ეკიდებიან თავიანთ გაწვრთნას. მეცადინეობა ხდება შემდეგ ნაირად: ყველასაგან მოტანილ ამა თუ იმ კორესპონდენციებს გადაიკითხავთ ყველანი საჯაროდ და შემდეგ ყველანი შეუდგებით ერთ-მეორის ნაწერების შესწორებას და გადამუშავებას და ასე ის მზადდება საგაზეთო მასალათ მუშათა ცხოვრებიდან.

ასეთი შეთანხმებითი მუშაობა და პრაქტიკის გავლა ამხანაგ მუშკორებს დიდათ ამხნევებს და ენერგიას უათასკეცებს ისინი ამით ეჩვევიან თვით მოქმედებას. მოუწოდებთ სხვებსაც, მიბაძონ ჩვენ მაგალითს.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

სიბინძურის ბუდე

(მთ. მილიციის და სანიტარ. კომისიის საყურადღებოდ)

ერისთავის ქ. სახ. № 8-ის წინ ერთ სარდაფში ცხოვრობს მუშაქურთები (კაცი და ქალი 10-მდე), რომელნიც არა თუ თვით ბინძურად ცხოვრობენ, არამედ მთელი სიბინძურე ქუჩებზედაც გამოაქვთ და მას საშინლად აბინძურებენ. ამ საწყალ ხალხს ღამით სიცხისგან ქუჩებში იქავე ქვაფენილზე სძინავს.

მიიღეთ სათანადო ზომები.

ინფ. გვინჩიძე.

როდის ჩარიცხავთ კავშირში

(რკ. გზის საუბკავშირის საყურადღებოდ)

თბილ. სახალხო სადგურზე შესდგა პარიკმახერთა არტელი, რომელსაც განაგებს უმუშევართა ცენტრ. გამგეობა. აღნიშნულ საპარიკმახეროში უკვე ერთი წელი შესრულდა, რაც მუშაობენ ამხ. სოლ. მოშაძე და ილია ჩიტავა, და ისინი მაინც კავშირის წევრად არ ითვლებიან. ესენი კი დიდი ხანია ამას მოითხოვენ. პროფ-რწმუნებული მათ ყურადღებას არ აქცევს.

აუწიეთ ყური!

მუშკორი გ. დანდუროვი.

გამოგზავნილი წერილებიდან

შეუგნებლობა თუ სიბრიყვე

12 აგვისტოს შესდგა თბილ. მედსანშრომის პროფკავშირის საფთიაქო სამმართველოსთან არსებულ ურთიერთ-დამხმარე სალაროს წევრთა საზოგადო კრება. მიუხედავად იმისა, რომ დამსწრეთა 80 პროც. შეადგენდენ, ქართველები, მოხსენებები მაინც რუსულ ენაზე კეთდებოდა. ბევრ მუშა-მოსამსახურეს რუსული ენა კი ხეირიანად არც კი ესმოდა.

რას ნიშნავს ეს?

ინფ. მ. ნოღისპირელი.

რკინისგზეზე

— **საბინაო მშენებლობისათვის** ა | კ. საგზაო კომიტეტმა გაანაწილა საბინაო ფონდი 35.958 მან. საბინაო მშენებლობისთვის საუბნო პროფკავშირებზე. აქედან თბილისის საუბნო პროფკავშირს მიეცა 10.000 მანეთი.

— **მუშკორთა თათბირი** აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბათომის საუბნო პროფკავშირი იწვევს რკინის გზელ მუშკორთა საუბნო თათბირს.

— **საცხ. ყაზარმების შეკეთება** ბათომის უბნის სალიანდაგო სამსახურის საწარმოო თათბირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურის პირველ უბანს შეაკეთოს უბანში არსებული საცხოვრებელი ყაზარმები.

— **800.000 მანეთი** ა | კ. რკინის გზის სამმართველომ გაიღო 300,000 მან. საექსპლოატაციო შემოსავლიდან სახლების ასაგებათ.

— **სკოლების შეკეთება:** ამხ. ლენინის სახელობის სალიანდაგო სამსამსახურის მე-6-ე უბანი ამჟამად აწარმოებს რკინის გზის სკოლების შეკეთებას მთელ უბანში.

წერილები პროვინციიდან

ამხ. მამია ორახელაშვილი მუხრანის გლეხებთან

10 აგვისტოს დაბა მუხრანს ეწვია ამიერ-კავკასიის სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მამია ორახელაშვილი. ადგილობრივი მცხოვრებნი მოუთმენლათ მოელოდა ამხ. მამიის მოსვლას, რომლის შესახებაც წინდაწინ იყო ცნობა.

მუხრანის მთავარი ქუჩა ხალხით გავსებული იყო, პიონერები ჩვეულებრივათ, წითელი დროშებით ხელში, ჩამომწკრივებულნი იდგნენ გლეხების წინ. ძვირფას სტუმარს პირველათ მიესალმენ პიონერები. ამხ. მამია ორახელაშვილმა შეაჩერა ავტომობილი და ესაუბრა პიონერთა ხელმძღვანელს მათ მუშაობის შესახებ.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილმა დაათვალიერა მუხრანის სახალხო მამული, გადასცა პიონერებს ორასი მანეთი, რომლითაც შეძენილი იქნა პიონერებისთვის ტანთსაცმელი. მშრომელი ხალხი დარწმუნდა, რომ დღეს ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს მომავალი ახალგაზრდობის აღზრდას.

შ. მ—ვი.

ღამის „რევიზორები“

ა. წ. 13 აგვისტოს, ღამის 3 საათზე უგრძნობლათ დამთვრალნი, გორის მაზრის განათლების ინსპექტორი დ. ნადირაძე და ამავე მაზრის პოლიტგანის გამგე ვასო ხოზიროვი შევიდენ ახლათგახსნილ მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსების მსმენელ ქალთა საერთო საცხოვრებელში და ბნელ ოთახში წუმწუმის საშუალებით დაუწყეს სინჯვა მძინარე ქალებს.

მიაგნეს, ვინაც მოსწონდით და ჩურჩულით მოსთხოვდენ ტანზე ჩაცმას და გარეთ გაყოლას. ქალები მტკიცე უარზე დადგნენ. ამ ორმა გმირმა წადილი ნახევრათ აისრულეს ძალდატანებითი კოცნით და პწკენით. უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებულ ქალებმა ხმაურობა დაიწყეს.

ამ აურ-ზაურმა იქ მწოლარე ქალები და მეორე საერთო საცხოვრებელში მძინარე ვაჟები ფეხზე წამოაყენა. მსმენელების შეკითხვაზე, თუ რა საქმისათვის იყვენ იგინი მოსული, მათ უპასუხეს, რომ „რევიზიაზე მოვედითო“.

მათი ასეთი საქციელით მსმენელები, როგორც ქალები, ისე ვაჟები, შეურაცხყოფილი დარჩენ და სირცხვილით მათ საქციელი ვერსად გაუმხელიათ.

მეორე დღეს ღამის ამ „ორმა გმირებმა, ვითომდა ბოდიშის მოხდით, საქმე „გამოასწორეს“.

საჭიროა ამ აღმაშფოთებელ მოვლენას სასწრაფოთ მიაქციოს ყურადღება პროკურატურამ და განათლების კომისარიატმა.

მეთვალყურე.

მიხედით სანამ გვიან არ არის

ზუგდიდის მაზრაში მოიპოება 15 ქარხანა. აქედან ამხანათ მხოლოდ 5 ქარხანა მუშაობს, რომლებიდანაც ალმასკომი ვერ ხედავს შესაფერ სარგებელს. შესანიშნავია მხოლოდ 1. აბასთუმნის, სპირტის სახდელი (რექტიფიკაციური) ქარხანა, რომლის მუშაობა ფერხდება ზოგჯერ მასალის მიუწოდებლობის გამო. დანარჩენი ქარხნების მუშაობა შეჩერებულია. ზოგიერთი ქარხნები კი გაზიშვლებული აგურის შენობებამდის არის დაყვანილი.

რა არის მიზეზი ასეთი მდგომარეობის? ამ ქარხნების რეკვიზიციის დროს ალმასკომს არ ყავდა ისეთი ორგანო, რომელიც მიიღებდა თავის თავზე მათ ამუშავებას და პატრონობას, რამაც თავისთავად გამოიწვია ქარხნების გაპარტახება.

ყოფილმა პატრონებმა დაიტაცეს ინვენტარების და მასალის დიდი ნაწილი. შემდეგ, როდესაც ალმასკომმა დაიწყო ქარხნების იჯარით გაცემა, ალმასკომს არ ყავდა ისეთი გამოცდილი პიროვნება, რომელიც შესძლებდა სათანადო ხელშეკრულებების დადებას მოიჯარადრეებთან.

არ მომხდარა ქარხნის ინვენტარის აღწერა, რამაც გამოიწვია ქარხნების გაძარცვა. მოიჯარადრეებმა გაიპარტახეს და მიატოვეს ქარხნები. ამით ისარგებლა ადგილობრივმა მოსახლეობამ და რაც მოიჯარადრეებს გადარჩათ, მათ დაიტაცეს. ზოგიერთი მოიჯარადრეები ისეთ ექსპლოატაციას ეწეოდენ, რომ წლიწადნახევრის განმავლობაში ყველაფერი გაანადგურეს.

მიმდინარე წელს ალმასკომმა დაათვალიერა ქარხნები და, როდესაც ასეთი სურათი წარმოუდგა, გამოიღო ხელი მოიჯარადრეების წინააღმდეგ. მაგრამ, რასაკვირველია, ამით მდგომარეობა არ გამოსწორდება ქარხნები კი, რაც დრო გადის, მით უფრო ინგრევა საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს, როგორც სამაზრო ალმასკომმა, ისე ცენტრმა, სანამ სულ გვიანი არ არის, რომ არ გაუქმდეს ესოდენ სასარგებლო და დიდ შემოსავლიანი წარმოებანი.

ქ. კობახიძე.

რატომ არა გვაქვს ქალთა წრე?

გაგრის რაიონში ქალთა წრის მუშაობა ძლიერ მიდუნებულია ამ რაიონში ცხოვრები ქალები ძლიერ უკმაყოფილო არიან ასეთი უყურადღებობით. ყველას უნდა, რომ არსებობდეს ქალთა წრის მუშაობა, მაგრამ ადგილობრივი პარტორგანოები ამ საქმეში ერთგვარ პასივობას იჩენენ და გულგრილად უყურებენ ამ საქმეს, რაც დაუშვებელია.

დროა უკვე, რომ ადგილობრივმა ამხანაგებმა მიაქციონ საქმეს ჯეროვანი ყურადღება, რადგანაც ქალთა წრის მოსაწყობად ძალები საკმარისათ მოიძებნება.

ბარბალე ჩიჩუა.

წერილებიდან

მოძალადე მოჭიდავეები. სოფ. მუხრანში (დუშ. მაზ.). 12 აგვისტოს უნდა გამართულიყო ჭიდაობა ვინმე კანდელაკის ხელმძღვანელობით. ბილეთები უკვე გაყიდული იყო, როცა გამოაცხადეს, რომ ჭიდაობა გადადებულია. გლეხებმა უკან მოითხოვეს ბილეთის ფასი, მაგრამ მოჭიდავე ფარულავამ გამოკეტა სალარო და ეუბნებოდა დამსწრეთ: „თუ მოხვალთ დანიშნულ დროზე ხომ კარგი, არა და 30 კაპ. რა დიდი თანხაა?“.

დამსწრე.

ჩამორჩენილი სოფელი. ს. ჯითანყალში (ზუგ. მ.) არ მოიპოება არავითარი კულტურული დაწესებულება. ერთ დროს აქაურმა გლეხებმა სცადეს სკოლის აშენება მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. ადგილობრივი მოწინავე ელემენტებიც სადათას ძილს მისცემიან.

კოპიტი.

ქურდი მღვდელი დაუსჯელად დაიარება. ს. ზემო ფარცხმაში, რომელიც შედის ჩხაბტაურის თემში, ძველთაგანვე ადგილობრივ სკოლის ერთ-ერთ მზრუნველად არჩეული იყო მღვდელი ხარიტონ ცინცაძე. წელს შეუდგენ სკოლის ახალ შენობის აგებას და საგანგებოთ არჩეულ კომისიამ ანგარიში მოსთხოვა „მამა“ ცინცაძეს. აღმოჩნდა, რომ ცინცაძეს 300 მანეთამდი ფული მიუთვისებია. მიუხედავად ამისა ის დღესაც თავისუფლად დაიარება თბილისში.

მაძიებელი.

ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს საქონლის ჭირი ს. ხეთაში (ზუგდ. მ.) თუ დროზე არ [illegible] ჩვენს სოფელს, გლეხებს დიდი განსაცდელი მოელის ოთხფეხი პირუტყვის განადგურებით.

ა. ივლი—შვილი.

საჭიროა კოოპერატივის გახსნა. ოზურგეთის მაზრის ს. ორაგვე დაშორებულია სავაჭრო ადგილებს და უბრალო რაიმესათვის ამ სოფლის მცხოვრებთ უხდებათ ლანჩხუთში ფეხით სიარული. ხშირათ გაიგონებთ აქაურ გლეხებიდან: „კოოპერატივი გვქონდა, მაგრამ შესჭამეს და პასუხსაც არავინ აგებინებსო“. რას იტყვის ამის შესახებ ლანჩხუთის კავშირი?

გეტო.

ზამთარს ხომ არ უცდიან? ორი წელიწადია საგარეჯოს გლეხობა მოითხოვდა რძის ქარხანის გახსნას. ამ ბოლო დროს თემის საბჭოს დაუდგენია ნება მიეცეს „მუშკოპს“ გახსნას რძის ქარხანა. მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინ ყურს არ იბერტყავს საქმის სისრულეში მოსაყვანად. ზამთრის დადგომას ხომ არ ელოდებიან, როცა ათჯერ უფრო ძნელი იქნება მუშაობა?

ვ.

არა გვაქ ხოხ-სამკითხველო. ლეჩხუმის მაზრის, ს. უცხერში არის სკოლა. ადგილობრივ გლეხობის ნაწილს აქვს დაბალი განათლება, მაგრამ მოისუსტებს საერთო განვითარება და პოლიტიკური მომზადება. საჭიროა ხოხ-სამკითხველოს დაარსება და ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, რომ უცხერის გლეხებს საშვალება მიეცეს თვალყური ადევნოს ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებას.

მტევრელი.

სოფლის ქრონიკა

— **სახლის გადაცემა.** გორის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ ყრუ-მუნჯთა სკოლას საიკოვისებული სახლი.

— **მორწმუნეთა საზოგადოება.** რაჭის აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა ნიკორწმინდის მორწმუნეთა საზოგადოება.

— **სინათლის გაყვანა.** რაჭის აღმასკომმა თავის ხარჯზე გაუყვანა სინათლე ონში მდგარ სამხედრო-ტერიტორიალურ ნაწილს.

— **ბრძოლა ლორის ჭირთან.** თელავსა და დუშეთის მაზრაში ღორის ჭირთან ბრძოლაში ივლისში დაიხარჯა 70 ლიტრა ასაცრელი შრატი.

სოფლის ფოსტა

ბზიკს (დაბლა საჭარა) ხელმოუწერელ კორესპონდენციებს რედაქცია არ ბეჭდავს.

ი. 6—ს თქვენი წერილი: „რომელი გზით შეიძლება სოფლად შევენების შეტანა“ ვანყენებულ ხასიათის მსჯელობას წარმოადგენს. გვიგ ზავნეთ უფრო მოკლე და ფაქტებით დასაბუთებული კორესპონდენციები.

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამა წულუკიძის ქ. № 4

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 25

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ წიგნის პალატაში სავალდებულო წარდგენის ეკზემპლიარების რაოდენობის გადიდების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მარტის 8-ს თარიღითა და მე-7 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ წიგნის პალატაში სავალდებულო წარდგენის ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოებთა ეკზემპლიარების რიცხვი [illegible] დაწესებული იქნას ოცდაათი (30) ცალის რაოდენობით.

საქართველოს ს. ს. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ე ლ ი ა ვ ა.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. ს ა ლ ა რ ი ძ ე.

1925 წ. აგვისტოს 17.

ქ. თბილისი-სასახლე.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტ“-ის № 181 მოთავსებულ ს. ს. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში № 38—ფიზიკურ კულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, შეიპარა შემდეგი შეცდომა: დადგენილების მე-5 მუხლის შენიშვნაში დაბეჭდილია: „შენიშვნა: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს“ ...უნდა იყოს: „ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს“...

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 20 აგვისტოს საღამოს 5 საათზე მე-3 რაიონის პარტკლუბის ბინაზე გაიმართება ახალგ. კომკავშირში მომუშავე კომუჯრედების ყველა კომისიების თათბირი მე-3 რაიონის კომპარტიის და ახალგ. კომკავშირის უჯრედების მდივანთა თანდასწრებით.

მდივანი: ვ ა რ თ ა პ ე ტ ო ვ ი.

— ხუთშაბათს, 20 აგვისტოს, ცეკას აგიტპროპის ბინაზე დანიშნულია თბილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის კრება საღამოს სრულ 7 საათზე. ამხანაგებს თხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

— კომკავშირის თბილ. კომიტეტი იუწყება: დღეს, შუადღის 1 საათზე შესდგება კომკავშირის თ. კ. საორგ. კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა ყველა წევრებისათვის.

ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდენ თავიანთი განცხადების განსახილველათ:

ე. ზაზუნოვა, ა. კარაპეტიანცი, ბ. შნეიდერი, გოგიაშვილი, ივანოვა, სულიევა, გ. ვული, ხუხუნაშვილი, შოთაშვილი, ი. მამუკაშვილი. ი. მაზნიევი, მ. კადანტოვი, ა. ლიაშენკო, ა. მედვედევი, ა. აბრამიანცი, ა. ტისიევი, მ. ოკუჯავა, მ. დოროშენკო, ე. ნემკინა, ა. ტაკარეკა, ს. ბადელოვი.

მდივნის მაგიერ—მ ა ხ ა რ ა ძ ე.

— დღეს, 19 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე ლენინრაიკომის შენობაში შესდგება რემედასის რაისაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა უჯრედების მდივნებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის:

გალპხაერ, არხიპოვი, კარგინი, ლებედევი, ე. ივანოვა, ქორიძე, ვაშაკიძე, ვაინგერშ.

რაისაბჭოს მდივანი—ი რ. მ შ ვ ე ლ ი ძ ე.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. ივანე მაჩაბელიძეს და ვეფხო აკოფაშვილს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ განყოფილებაში ამხ. ტრაპაიძესთან.

თ. კ. აღმრიცხ-გამნაწ. განყ.

— ა | კ. საოლქო საკონტ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ვალერიან დონდუას გამოცხადდეს ა | კ. ს. ს. კომისიის პარტკოლეგიაში—ამხ. კუზმინთან.

— დღეს, 19 აგვისტოს, დილის 9 საათზე თ. კ. შენობაში დანიშნულია

თ. კ. საორგ. კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრებისათვის.

განყ. გამგის მაგიერ—კომახიძე.

განცხადებები

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

დაიბეჭდა და იყიდება

მალხაზის არია:

„თავო ჩემო“

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა

„დაისიდან“

იყიდება მხოლოდ და მხოლოდ ნ. სუზანაჭიანის

მუსიკალურ მაღაზიაში, კომინტერნის ქ. 5, (ქართული კლუბის შესავალთან)

იბეჭდება: „მაროს ტირილი“

ოპერა „დაისიდან“ და ზაქ. ფალიაშვილის რომანსი:

„რისთვის მიყვარხარ“. ნოტები მრავალგვარი: კლასიკური პიესები, სკოლები და ეტიუდები ყოველგვარ ინსტრუმენტებისათვის.

ფასები ხელმისაწვდომია. ყველა უკანასკნელი ნაწარმოებნი.

სიმღერისა და ფორტეპიანოსათვის ყოველთვის არის ახალი სიმები და სხვა მუსიკალური ხელსაწყოები.

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 22 აგვისტოს, დღის 12 საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე № 13 პირველი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ერვანდ ბასინოვის უფლება ორ თვლიანი წყლის წისქვლის ნახევარზე, რომელი უფლებაც სტეფანე ბასინოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად შეფასებულია 200 მანეთად.

23 9 1—1. სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი.

დაკარგე სამხედრო საღრიცხვო ბარათი მოცემული სამხედრო კომისარიატიდან ანტონ გიორგის ძე ბერაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2305 1—1

დაკარგე ხონის აღმასკომიდან მოცემული პირადობის მოწმობა სამხ. რეგისტრაციაში გატარების ნუსხა ნიკოლოზ ანტონის ძე ფიოლიას სახელზე. ჩ. გ. 2313 1—1

დაკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 685, დამზღვევთა სალაროს წიგნაკი № 5632, პასპორტი უვადო, სამხედრო საღრიცხვო ფურცელი სიმონ არჩილის ძე ცირგილაძის სახელზე. ჩ. გ. 2312 1—1

დაკარგე სასურსათო ბილეთი № 0042289 და პირადობის მოწმობა № 1263—მოცემული „ზაკპოგრუზი“-ს მიერ დათიკო ანტონის ძე თოხაძის სახელზე. ჩ. გ. 2310 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1927, პირადობის მოწმობა გიორგი ალექსის ძე ყანდარელის სახელზე. ჩ. გ. 2307 1—1

დაკარგე ვინაობის უვადო მოწმობა № 1075, მოწმობა რკინის გზის სამმართველოს ქუთაისის განყოფილებისაგან და მოწმობა სადგურ ფოთის უფროსისაგან დიმიტრი ყაისარის ძე გორდელაძის სახელზე. ჩ. გ. 2306 1—1

დაკარგე ტრამვაის ბილეთი № 43 და მასთან საწევრო წიგნაკი საბჭოთა და სავაჭრო მუშების კლუბიდან მოცემული № 1803, ნიკოლოზ ზაქარიას ძე დევიძეს სახელზე. ჩ. გ. 2311 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1993 თამარ ვახტანგიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2308 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 2639 ვანო შალამბერიძეს სახელზე. ჩ. გ. 2314 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 1050 და საღრიცხვო ბარათი № 841 მიხაკო რომანოზის ძე კინწურაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2315 1—1

დაკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი და პირადობის მოწმობა № 1263 შალვა ქისტიფორეს ძე პეპიეშვილის სახელზე. ჩ. გ. (ა) 2304 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი (ფ. № 4) № 1450 გალაქტიონ პლატონის ძე ნანუბიას სახელზე. ჩ. გ. (ბ) 2304 1—1

Найдена 17 августа 1925 г. собака поинтер-сука с желто-пегими подпалинами, находится у гр. Михайла ЦУЛАЯ прож. Жилой дом № 5, кв. № 17.

1—1 2302